პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 262 (13646) | ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲓᲘᲐᲓ ᲗᲐᲠᲘᲦᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲜᲝᲒᲐᲗᲔᲑᲘ

□ საქსოფლტექნიკის ცხაკაიას რაიონული გაერთიანების მმართველმა გ. მორჩილაძემ რედაქციას აცნობა: მექანიზატორებმა 10 ნოემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს წარმოების პროდუქციის გამოშვების და საქონელმრუნვის წლიური გეგმები. მიღებულია ზეგეგმითი დაგროვება 25 ათასი მანეთის რაოდენობით. გაერთიანების კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის ბოლომდე ზეგეგმითი დავალება გაზარდოს 30 ათას მანეთამდე.

□ საქართველოს კპ ჩოხატაურის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. კვინტარაძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. მამალაძემ რედაქციას აცნობეს: რაიონმა 9 ნოემბრისათვის სახელმწიფოს მიჰყიდა 6.711 ცენტნერი რძე ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 6.700 ცენტნერისა, 855 ტონა ყურძენი ნაცვლად 710 ტონისა. დიდი გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ხორცის, კვერცხის, ხილის მიყიდვის წლიური გეგმები.

□ წულუკიძე. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებსაგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა სასახელოდ გაანაღდა საღღესასწაულო შეჯიბრებით ნაკისრი ყველა ვალდებულება. ათ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 631 ათასი მანეთის პროდუქცია და მიღებულია 169 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ფეიქრებმა დიდი წარმატება მოიპოვეს ნედლეულის ეკონომიისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაშიც. განვლილ პერიოდში დაზოგილია 3.400 კილოგრამი აბრეშუმის პარკი, 225 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია და 335 ტონა საწვავი. პირველი ხარისხის ხამი აბრეშუმის ძაფის ამოღებამ გეგმით გათვალისწინებულს 1,6 პროცენტით გადაამეტა.

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲙᲘᲓᲔᲕ რამდენიმე დღე, და 25 ნოემბერს მეწყდება ჟურნალ-გაზეთებზე და საერთოდ პერიოდულ გამოცემებზე ხელმოწერა 1967 წლის 1 იანვრისათვის.

გაზეთის, ჟურნალის — ადამიანის ამ კეთილი მრჩეველის, მასწავლებლისა და მეგობრის გარეშე, ვერ წარმოუდგენია ახლა ცხოვრება ჩვენს ალხს. და ეს გასაკვირველი როდია. საბჭოთა ადამიანისათვის, მკითხველისათვის, გაზეთი, ჟურნალი ისევე საჭიროა, ეს საჭიროა, როგორც ფალი, ჰაერი, იგი ჩვენი მშრომელებისათვის სულიერი საზრდო, ცოდნის წყარო, ცხოვრების განუყრელი �. ეს ნამგზავრია. აბა წარმოიდგინეთ, ეს სასიამოვნოა, როცა ხელში აიღებ ალ გაზეთს და ქვეყნის ამბებს წაკითხავ. ვინ მოთვლის, რამდენ საკარგებლოს გვასწავლის გაზეთის ეთეული ნომერი, რომელიც მერ-ბალიერით შემოფრინდება ჩვენს ჯახლებში, მოიტანს საბჭოთა ადამიანების სახელოვანი შრომის, ბრძოლისა და გამარჯვებათა მაუწყებელ ხალ ამბებს.

უყვარს ჩვენს ხალხს ლენინური პრესა, ნამდვილი ხალხური პრესა, ომელიც ყველა მშრომელის უსაყვარო ნდობით, მხურვალე სიყვარულით და ყოველმხრივი მხარდაჭერით სარგებლობს. ახლა ჩვენში ეფიციათად თუ ნახავთ ოჯახს, ადამიანს, რომ გამოწერილი არა ჰქონდეს ესა თუ ის გაზეთი, ჟურნალი. ეს, რა თქმა უნდა, მოწმობს ჩვენი ადამიანების მაღალ კულტურულ ონეს, მასში მოჩანს უდიდესი სიყვარული, პატივისცემა, ნდობა ხალხისა ლენინური პრესისადმი. ამას ადასტურებს ჩვენს რესპუბლიკაში ერიოდულ გამოცემებზე ხელმოწერის მიმდინარეობაც. სოიუზპეჩატის მონაცემებით 10 ნოემბრისათვის საქართველოში ყოველ ათას მცხოვრებზე გამოწერილი იყო 365 გამოცემა 1.661.268 ეგზემპლარის რაოდენობით.

როგორც გასულ წელს, ისე ამჟამად რესპუბლიკაში მუშაობს პრესის პროპაგანდისა და გავრცელების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, ხელმოწერის მრავალი პუნქტი. მარტო საზოგადოებრივი გამავრცელებლების რიცხვი 12 ათასზე მეტია. ეს, რა თქმა უნდა, დიდი ძალაა, რომელიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმატებით ავრცელებს პერიოდულ პრესას. ცხადია, იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები სათავეში უდგანან პრესის გავრცელების საქმეს, ყოველდღიურად, სისტემატურად ხელმძღვანელობენ მას, მდგომარეობაც სასურველია. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები აქვთ ქალაქ ტყიბულს, მახარაძის, აბაშის, ჩხოროწყუს, თერჯოლის, წალენჯიხის, ვანის, კასპის, წითელწყაროს, საგარეჯოს, ზესტაფონის, სამტრედიის, ბოლნისის, ლაგოდეხის, ბორჯომის, ქარელის, ყაზბეგის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ხობის რაიონებს, აგრეთვე ქალაქებს ფოთს და ა. შ. პერიოდული პრესის გავრცელებისათვის ამ რაიონების პარტიული ორგანიზაციები ფართო პროპაგანდას, დიდ ახსნა-განმარტებით მუშაობას ეწევიან ამ პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. ისინი უნარიანად იყენებენ პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებლებს, საქმიანად იყენებენ სოიუზპეჩატის ორგანოებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კავშირგაბმულობის მუშაკებმა, საზოგადოებრივმა გამავრცელებლებმა მოსახლეობაში უნდა გააჩაღონ აქტიური მუშაობა. თვითეულმა მუშამ, კოლმეურნემ, ინტელიგენტმა, სტუდენტმა, მოსწავლემ უნდა გამოიწეროს მისთვის საჭირო ჟურნალები და გაზეთები. პერიოდული გამოცემების მასობრივი გამოწერა ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის პასუხსაგები უბანია, რაც კონკრეტულ და ყოველდღიურ პარტიულ ხელმძღვანელობას მოითხოვს.

თვითეული პარტიული ორგანიზაცია, თვითეული კომუნისტი პრესის გავრცელების აგიტატორი და ორგანიზატორი უნდა იყოს. მაგრამ ფაქტები მეტყველებენ, რომ ეს ჭეშმარიტება ზოგან დაივიწყეს და ამ პოლიტიკურ კამპანიას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. მაგალითად, პრესის გავრცელების საქმეში ძალზე ცუდი მაჩვენებლები აქვთ წულუკიძის, საჩხერის, ლენტეხის, ბოგდანოვკის, ახალქალაქის რაიონებს.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ქუთაისში, მაიაკოვსკის, ახალციხის, დუშეთის, ცხაკაიას, ონისა და ზოგიერთ სხვა რაიონში. დრო არ ითმენს. აქაურმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, კავშირგაბმულობის ორგანოებმა მკვეთრად უნდა გააძლიერონ ამ მიმართულებით მუშაობა.

როგორც სხვა გამოცემებზე, ისე გაზეთ „კომუნისტზეც“ ხელმოწერა 25 ნოემბერს შეწყდება. შემდეგ კი კავშირგაბმულობის ორგანოები საბოლოოდ შეაჯამებენ ხელმოწერის შედეგებს და იზრუნებენ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მკითხველებისათვის გამოწერილ გამოცემათა ორგანიზებულად მიწოდება. გაზეთ „კომუნისტზე“ ხელმოწერთა რიცხვი სულ უფრო იზრდება. ეს კი რედაქციის კოლექტივს ავალებს უფრო საინტერესო, მიმზიდველი იქნას გაზეთი, რომ მრავალათასიანი მკითხველის სულიერი მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს. ამასთან ერთად „კომუნისტის“ რედაქცია, მისი მრავალრიცხოვანი მუშა და სოფლის კორესპონდენტები, აქტივი სისტემატურ კონტროლს გაუწევენ იმას, თუ როგორ იღებენ ხელისმომწერლები გაზეთს, როგორ ემსახურებიან მათ ადგილობრივი კავშირგაბმულობის ორგანოები, ყველა ის, ვინც მოვალეა იზრუნოს მკითხველამდე გაზეთის მიტანისათვის.

25 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ ᲨᲔᲬᲧᲓᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲖᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲘᲗᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲘᲩᲥᲐᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲝᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲞᲠᲔᲡᲐᲖᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲘᲗᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲘᲩᲥᲐᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲝᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲞᲠᲔᲡᲐᲖᲔ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲛᲘᲗᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲘ, ᲘᲩᲥᲐᲠᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲐᲤᲝᲠᲛᲝᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲞᲠᲔᲡᲐᲖᲔ.

ეს არის ხალვალვით მეშვიდე და კონსტრუქციით ყველაზე სრულყოფილი აგრეგატი, რომელსაც აქვს ნედლეულის მოხამზადებელი, ნახევარფაბრიკატების დასაფქვავი, მზა პროდუქციის სატრანსპორტო ნაკადური ხაზები.

ქარხანაში შენდება კიდევ ერთი ასეთი აგრეგატი, იგი ხაქმესოატაციოდ გადაეცემა საბჭოთა ბელორუსიის ორმოცდაათი წლისთავისათვის.

ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲐ „ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡ-ᲤᲝᲢᲝ-66“ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

„მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ჰუმანიზმისა და პროგრესისათვის“ — ასეთია გამოფენა „ინტერპრეს-ფოტო-66“-ის დევიზი. გამოფენა ექსპონირებულია მოსკოვში. მას უდიდესი წარმატება აქვს. 26 დღეში იგი ინახულა 400 ათასმა კაცმა. ცალკეულ დღეებში მნახველთა რიცხვი 26 ათასს აღწევდა. გამოფენა ნახეს მოსკოვის სტუმრებმა — მსოფლიოს ბევრი ქვეყნიდან ჩამოსულმა ადამიანებმა.

გასაგები და გამართლებულია ეს ინტერესი: ასეთი სისრულით ეშვიათი გამოფენა აცნობს დამთვალიერებელთ ჩვენი პლანეტის ცხოვრებას. ამას დამაჯერებლად მოწმობს თუნდაც მხოლოდ ის, რომ „ინტერპრეს-ფოტო-66“-ში მონაწილეობს მსოფლიოს 71 ქვეყნის 2.182 ოსტატი.

ᲪᲔᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲝᲚᲘᲐᲗᲘ

ᲐᲛᲒᲠᲝᲡᲘᲔᲕᲙᲐ (ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ), 14 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს პირველი პროდუქცია გამოუშვა ნოვო-ამვროსიევკის ცემენტის ქარხნის კლინკერის გამოსაწვავმა მბრუნავმა ღუმელმა, რომელიც ერთ-ერთი უდიდესია ჩვენს ქვეყანაში.

ᲙᲝᲜᲕᲔᲘᲔᲠᲗᲖᲔ „ᲛᲝᲡᲙᲕᲘᲩᲘ-133“

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 16 ნოემბერი. (საკდესის კორ.). დღეს მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხნის მთავარი კონვეიერიდან ჩამოვიდა ახალი მოდელის პირველი „მოსკვიჩი“. საწარმოში მათ უფროსებს უწოდებენ, მაგრამ პასპორტით სხვა სახელი ჰქვიათ — „მოსკვიჩი-133“.

ახალი მანქანა განკუთვნილია ოთხასი კილოგრამი ტვირთის გადასაზიდად. მისი ძრავის სიმძლავრე 60,5 ცხენის ძალაა. მას შეუძლია განავითაროს 110 კილომეტრი სიჩქარე საათში.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ!

ᲬᲧᲐᲚᲢᲣᲑᲝ. (საკ. კორ.). ხაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, ქიმიური ქარხნის კოლექტივმა იკისრა დიადი დღესასწაულისათვის წლიური გეგმის გადაჭარბებით გამოშვა 100 ათასი მანეთის პროდუქცია.

წყალტუბოელმა ქიმიკოსებმა ვალდებულება ვადამდე შეასრულეს და ათ თვეში წლიური გეგმის გადამეტებით მისცეს ქვეყანას 112 ათასი მანეთის პროდუქცია. ამასთან დავალებას ასორტიმენტის მიხედვით გადაჭარბებს. განვლილ პერიოდში რეალიზებულია 272 ათასი მანეთით მეტი ღირებულების ნაწარმი, ვიდრე ამას გეგმა ითვალისწინებდა. ზეგეგმითმა მოგებამ 71 ათასი მანეთი შეადგინა. საგულისხმოა ისიც, რომ წელს ქარხანას არც ერთი რეკლამაცია არ მიუღია.

სადღესასწაულოდ ნაკისრი ვალდებულებები სახახელოდ გაანაღდეს ნედლეულის დამამზადებელი და მშრალი სალებავების საამქროთა კოლექტივებმა, რომლებსაც შ. კოკვიძე და გ. სილაგაძე უძღვებიან.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲧᲕᲔᲚᲘ, ᲙᲐᲠᲐᲥᲘ

ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ. (საკ. კორ.). სიღნაღის ყველისა და კარაქის მთავარი ქარხნის (დირექტორი მ. ნადირაძე) კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების 10 თვის დავალება ვადაზე 15 დღით ადრე 115 პროცენტით გაანაღდა. კარაქის გამოშვების გეგმა შესრულებულია 120 პროცენტით, ყველისა კი — 106 პროცენტით.

ქარხანაში ბევრია ბეჯითი მეშა. ს. ნიკვაშვილი, ვ. აბულაშვილი, კ. სიფრაშვილი, ლ. გარბუზოვი, ვ. ხარაზიშვილი და სხვები დღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებენ.

ᲓᲘᲦᲡᲔᲣᲚ შრომითს ხაჩუქრებს უმზადებენ დიდი ოქტომბრის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს საკოლმეურნეო სოფლის პატრიოტები. ამ საერთო-საბალხო შრომის ფერხულში არიან ჩაბმული ახმეტის რაიონის ალვანის მეცხვარეობის საჯიშე ხაბჭოთა მეურნეობის მწყემსები. აი ერთი მრავალთაგანი — ზაქრო ხეცაურიძე. იგი წელს ორმოცდამეათედ აზამთრებს ცხვარს შირაქის ველზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ზ. ხეცაურიძე.

ფოტო ვ. ყუშიტაშვილისა.

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ

16 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ კრემლში გაგრძელდა საბჭოთა კავშირ-ფინეთის მოლაპარაკება. მოლაპარაკებაში მონაწილეობენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. კ. ბაიბაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვები; ფინეთის მხრივ: მთავრობის დელეგაციის წევრები — პრემიერ-მინისტრი რ. პაასიო (დელეგაციის მეთაური), საგარეო საქმეთა მინისტრი ა. კარიალაინენი, იუსტიციის მინისტრი ა. სიმოენენი და სხვა ოფიციალური პირები.

მოლაპარაკების დროს, რომელსაც ესწრებოდნენ, მეგობრული ხასიათი ჰქონდა, განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ფინეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები. (საკდესი).

ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

15 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ თბილისში მუშაობა დაიწყო ქირურგთა სრულიად საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის მე-9 პლენუმმა. მის მუშაობაში მონაწილეობს 600-ზე მეტი გამოჩენილი სპეციალისტი. პლენუმი მოიხმენს 50 მოხსენებას აქტუალურ საკითხებზე, რომლებსაც დიდი მეცნიერული და კლინიკური მნიშვნელობა აქვთ.

პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

□ □

ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲗᲐ სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობის თბილისში, ამბობს სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ლენინგრადის 1-ლი სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორი, ლენინური პრემიის ლაურეატი თეიმურაზ გრიგოლის-ძე უგლოვი, — მიძღვნილია თანამედროვე ქირურგიის მეტად მნიშვნელოვანი საკითხებისადმი.

ოპერაციების რიცხვის ზრდასთან დაკავშირებით მკვეთრად იმატა სისხლის გადასხმის და გადასხმული სისხლის რაოდენობამ. იმის გამო, რომ სისხლის გადასხმა მძლავრი სამკურნალო ფაქტორია, რომელიც დიდ ცვლილებებს ახდენს მთელ ორგანიზმში, მისი მოქმედება გულდასმით იქნა შესწავლილი, რათა გაგვეძლიერებინა მისი ეფექტურობა. ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მოხსენებანი პლენუმის სხდომაზე.

მეორე პრობლემა, რომელიც იხილება პლენუმზე, არის კუჭნაწლავიდან სისხლის დენის მკურნალობა. კუჭიდან სისხლის დენის ერთ-ერთი მიზეზია მომატებული წნევა მუცლის ღრუს სისხლძარღვებში. სწორედ ამ უკანასკნელი საკითხისადმი მიძღვნილი ჩემი მოხსენება, რომელსაც საფუძვლად დადეო მრავალი წლის გამოცდილება მუცლის არის სისხლძარღვებში მომატებული წნევის წინააღმდეგ ბრძოლისა.

ყველა ამ საკითხზე აზრთა ურთიერთგაზიარება უეჭველია ხელს შეუწყობს ქირურგიის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში.

— ᲩᲕᲔᲜᲡ კლინიკაში, — ამბობს მოსკოვის ექიმთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის კლინიკური ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრის გამგე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბორის ვლადიმერის-ძე ᲝᲒᲜᲔᲕᲘ, — დიდი წარმატებით წარმოებს სახის ნერვულ ღეროთა ნაწილების ლითონის პროთეზებით შეცვლის ექსპერიმენტები. ასეთი ექსპერიმენტი პირველად იქნა გამოყენებული მსოფლიო ქირურგიაში. მე და აკადემიკოსმა ბ. პეტროვსკიმ 28 ავადმყოფს, რომლებსაც დაზიანებული ჰქონდათ სახის ნერვი, დაზიანებული ნერვის დეფექტი შევუვსეთ ლითონის პროთეზით, რის შედეგად 23 ავადმყოფს მთლიანად აღვუდგინეთ ნერვის ფუნქციები.

ჩვენს პლენუმში მონაწილეობას იღებენ თანამედროვე საბჭოთა ქირურგიის საუკეთესო ძალები, რომლებიც მთელ რიგ სიახლეთა და ექსპერიმენტთა წამომწყებნი არიან, რამაც მათ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

ამას მინდა კიდევ დავძინო, რომ პლენუმის ადგილი შემოხვევით როდია ამორჩეული. ქართული ქირურგია ხაბჭოთა ქირურგიის ერთ-ერთი წამყვანი სკოლაა.

— მე, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ბ. პეტროვსკის ხელმძღვანელობით, ღია გულზე სისხლის ხელოვნური მიმოქცევის პრობლემაზე მუშაობისას, — განაცხადა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ხალინინტროს კლინიკური და ექსპერიმენტული ქირურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ პროფესორმა გლებ მიხეილის-ძე ᲡᲝᲚᲝᲕᲘᲝᲕᲘᲡᲐ, — გავაკეთეთ გულის ხარჭვლების საბჭოთა კონსტრუქციის ხელოვნური პროთეზებით შეცვლის 100-ზე მეტი ოპერაცია. ერთ კვირაზე ცოტა მეტი ხნის წინ ყარდოლოგთა მსოფლიო კონგრესზე ნიუ-დელიში ჩვენ წარვადგინეთ ებშტეინის ანომალიის გულის თანდაყოლილი მანკის მკურნალობის გამოცდილება, რომელიც ყველაზე დიდია მსოფლიოში. თბილისის პლენუმზე მიმდინარეობს ქირურგიაში სისხლის გადასხმის საკითხების განხილვა. სისხლის ყველაზე მასობრივი გადასხმა წარმოებს მაშინ, როცა ოპერაცია კეთდება სისხლის ხელოვნური მიმოქცევით. ამ თემისადმი მიძღვნილი ჩემი მოხსენებაც მე-9 პლენუმზე.

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲦᲕᲐᲦᲒᲘᲜᲝᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲨᲘ!

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტში საკდესის კორესპონდენტს აცნობეს, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭომ სოხოვა სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს მხარი დაუჭირონ მოწოდებას, რომ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის შესაწყვეტად ყველა მშვიდობისმოყვარე ძალებმა ერთობლივად იმოქმედონ. ასეთი მიმართვის იდეა მშვიდობის მსოფლიო საბჭომ წამოაყენა 1966 წლის ივლისში ჟენევის შეთანხმებათა მე-12-ე წლისთავთან დაკავშირებით. ამ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი კულტურის, მეცნიერების, რელიგიის თვალსაჩინო მოღვაწეებმა, საზოგადოებრიობის ფართო წრეების წარმომადგენლებმა, პოლიტიკურმა მოღვაწეებმა, ბევრმა ორგანიზაციამ და მოძრაობამ, რომლებიც მშვიდობისათვის იბრძვიან.

78 ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ

◆

შეერთებული შტატების მთავრობამ, ნათქვამია მიმართვაში, უგულებელყო ჟენევის შეთანხმებანი და აგრესიული ომი დაწყო სამხრეთვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ამ დანაშაულებრივი ომის „ესკალაცია“, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვით გამოიხატება, სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას.

მიმართვაში ხაზგასმულია, რომ „ვიეტნამში მშვიდობის დამყარება შეიძლება მხოლოდ იმით, თუ მთლიანად იქნება გამოყენებული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჟენევის შეთანხმებებს და რომლებიც გულისხმობენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ამერიკის მთელი ჯარების გაყვანასა და იმას, რომ ცნონ განთავისუფლების ეროვნული ფრონტი“.

მოუწოდებთ მშვიდობისათვის მებრძოლ ყველა ორგანიზაციას, ყველა რელიგიურ, სოციალურ და პოლიტიკურ ორგანიზაციას, ყველა კეთილი ნების ქალსა და კაცს, — აღნიშნულია მიმართვის დასასრულს, — გააერთიანონ თავიანთი მეცადინეობა და მოითხოვონ ჟენევის შეთანხმებათა შესრულება, აგრეთვე მძლავრი საპროტესტო კამპანია გააჩაღონ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ვიეტნამის სრული ეროვნული დამოუკიდებლობა და მშვიდობა აღმდგს ამ ქვეყანაში“. მიმართვას ხელს აწერს მსოფლიოს 73 ქვეყნის 2.000 წარმომადგენელი. მათ შორის არიან ისეთი ფართოდ ცნობილი მოღვაწენი, როგორიცაა ფიზიკოს პარლამენტის ვიცე-თავმჯდომარე პაგვოიტი, მწერალი ლეი არაგონი (საფრანგეთი), ცეილონის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, პარტია შრი ლანკა ფრიდომის ლიდერი ქალბატონი ს. ბანდარანაიკე, გუსტავ ფუჩიკოვი (იულიუს ფუჩიკის ქვრივი, ჩეხოსლოვაკია), სინძო ხამაი (ქალაქ ხიროსიმის მერი), მხატვრები რენატო გუტუზო (იტალია) და როკველ კენტი (ამერიკის შეერთებული შტატები), პარლამენტის წევრი, ყოფილი მინისტრი ვ. კ. კრიშნა მენონი (ინდოეთი), დოქტორი ეოზეფ დე კასტრი (ბრაზილია), ბოიდ ორი (ინგლისი). მიმართვას ხელს აწერენ აგრეთვე საბჭოთა კულტურის ცნობილი მოღვაწენი: მ. ა. შოლოხოვი, დ. დ. შოსტაკოვიჩი, ი. ვ. ერენბურგი, ნ. ს. ტიხონოვი, ა. ე. კორნეიჩუკი, გ. ს. ულანოვა, აკადემიკოსები პ. ლ. კაპიცა, ნ. ნ. სემიონოვი და სხვები.

„ᲩᲕᲔᲜᲡ ᲣᲙᲐᲜ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ ᲘᲧᲝ“

ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ „ყაზახფილმმა“ გამოუშვა დოკუმენტური კინოსურათი „ჩვენს უკან მოსკოვი იყო“. იგი მიეძღვნა მოსკოვის მისადგომებთან გერმანელ-ფაშისტ დამპყრობთა განადგურების 25 წლისთავს და მოგვითხრობს 28 პანფილოველის ლეგენდარულ გმირობაზე დუბოსეკოვოს ასაკცევთან.

სცენარის ავტორია მწერალი დ. სნეგინი, რომელსაც მოსკოვის მისადგომებთან გამართულ ბრძოლებში მიუღია მონაწილეობა. რეჟისორია ა. ნუგმანოვი, ოპერატორი — მ. საგინბაევი. (საკდესის კორ.).

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ.

ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲡᲘᲐ

1966 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ დღის 12 საათზე საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის და ფილოსოფიის ინსტიტუტები აწყობენ გაერთიანებულ სამეცნიერო სესიას, მიძღვნილს

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ (ᲡᲐᲨᲐ) ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲘᲡ-ᲫᲔ ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ დაბადების 90 წლისთავისადმი.

ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘ:

1. Ა. Გ. ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ — პროფესიონალი რევოლუციონერი (პროფესორი ი. მირცხულავა).

2. Ა. Გ. ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი პ. გუგუშვილი).

3. ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ Ა. ᲧᲣᲚᲣᲙᲘᲫᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲔᲑᲨᲘ (ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი ო. ბაკურაძე).

სესია გაიმართება პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 29).

პარტიული ცხოვრება

პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე •

კომბინატის ავანგარდი

საბჭოთა საქართველო. — სიმბოლურად ეღირს თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის ეს სახელი, რადგან იგი მბოლოდ რამდენიმე წლით არის ხაბჭოთა საქართველოზე უმცროსი. რამდენიმე წელი კი რა სათქმელია დროის ასეთ სწრაფ სრბოლაში!

საბჭოთა სამშობლო, ჩვენი ხალხი დიდ მოთხოვნებს უყენებენ თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის პროდუქციას, და კომბინატის კოლექტივიც ძალებს არ ზოგავს იმისათვის, რომ ხულ უფრო მეტი რაოდენობით მისცეს ქვეყანას იგი.

კომბინატი ობრძვის კომუნისტური შრომის საწარმოს სახელისათვის. როგორც ეს შრომის გვარდიელებს შეშვენით, აქ რამდენიმე წელია გადამეტებით ასრულებენ სახელმწიფო გეგმებსა და ვალდებულებებს. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე კომბინატმა ოთხჯერ გაიმარჯვა საკავშირო და რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებებში. ახალი შრომითი წარმატებით შეხვდა კომბინატის კოლექტივი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავს. მან დიდი გადამეტებით შეასრულა რთვის, ქსოვის, ქსოვილების გამოშვებისა და პროდუქციის რეალიზაციის დავალებები. ათ თვეში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 43 ათასი მეტრი ქსოვილი, 83 ტონა ზალის ნართი, დაზოგილია 109 ტონა ნედლეული, პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 511 ათასი მანეთით, ხოლო ზოგგეგმითმა მოგებამ 275 ათასი მანეთი შეადგინა.

ყველა საქმეში, დიდსა და მცირეში, ნათლად ჩანს კომუნისტთა, პარტიული ორგანიზაციის ავანგარდული, მაორგანიზებელი როლი. კომუნისტები მაგალითს აძლევენ უპარტიოებს შრომისადმი კომუნისტურ დამოკიდებულებაში, კომუნისტური მორალის ნორმების დაცვაში.

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს“ კომუნისტთა მრავალმხრივი მოღვაწეობის სურათი გადაშალეს კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მომხსენებელმა — პარტკომის მდივანმა გ. კოპლატაძემ და მოკამათეებმა.

პარტორგანიზაციაში 400-ზე მეტი კომუნისტია. დიდი ძალაა ეს, მით უმეტეს, რომ თვითეული მათგანი კომბინატის ამ ავანგარდის ღირსეულ წევრად თვლის თავს. უკანასკნელ ხანებში კომუნისტები სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ თავიანთ თავს, პირადი მაგალითით გაკვლევას ახდენენ სხვებზე, ზრდიან მათში. საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობას.

— კომბინატი ჩემი მეორე ოჯახია. ამიტომ დავუკვირე მას მთელი ცხოვრება. ჩემს ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას არ ვზოგავ იმისათვის, რომ ვამრავლო წარმატებები, დავეხმარო წარმოების ახალ-ახალ მუშაკებს. მაღლობა პარტიასა და მთავრობას ჩემი — უბრალო მთელი ქალის— შრომის ასეთი მაღალი დაფასებისათვის. — კამკოლური საწარმოს ქვეოსტატის, სოციალისტური შრომის გმირის ვ. ქეშაშვილის ეს ბოლო სიტყვები, რომლებიც მან საანგარიშო-საარჩევნო კრების ტრიბუნიდან წარმოთქვა, კრების მონაწილეთა ერთსულოვანმა, ხანგრძლივმა ტაშმა დაფარა.

ვინ მოთვლის კომბინატის მოწინავეთა სახელებს! საწარმოს ფარგლებს გასცდა საქსოვი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელის, სკკპ XXIII ყრილობის დელეგატის ლ. ჯანაშვილის, ქვეოსტატების ა. ჩიქოვანის, ბ. თედორაძის და სხვათა შრომითი საქმეები. მთავრობის მაღალი ჯილდოები უმშვენებთ მკერდს კომბინატის ვეტერანებს: მაუდის ნართის საწარმოს ქვეოსტატს ვ. ჯორჯაძეს, უფროს ოსტატს ვ. დანელიას, კამკოლური საწარმოს ქვეოსტატს ე. გაბისონიას, საქსოვი საწარმოს ქვეოსტატს ე. ჯავახშვილს და სხვებს. საანგარიშო პერიოდში „ძველ“ სახელებს ბევრი ახალი სახელიც შეემატა.

მოწინავენი კომბინატში დამსახურებული პატივისცემითა და საყოველთაო სიყვარულითაა სარგებლობენ. მათი უშუალო გავლენით ყალიბდება კოლექტივში შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. აქ ფართოდ გავრცელდა კომუნისტური შრომისათვის ბრძოლა. დღემდე კომუნისტური შრომის სახელი მინიჭებული აქვს ერთ საწარმოს, 5 საამქროს, 11 ცვლას, 58 ბრიგადას (სულ 1900-ზე მეტ კაცს), დამკვრელია 626 კაცი, ხოლო კომუნისტური შრომის სახელისათვის იბრძვის 715 კაცი.

კომბინატის პარტიულ ორგანიზაციას საქმე აქვს ცოცხალ ადამიანებთან. ამიტომ იგი ცდილობს იპოვნოს გზა თვითეული ადამიანის გულისა და გონებისაკენ, კარგად დაეუფლოს აღმზრდელობითი მუშაობა, მუდმივად იყოს ხალხთან.

იდეოლოგიური მუშაობის სული და გულია საზოგადოებრივად სახარგებლო შრომისადმი სიყვარულისა და პატივისცემის აღზრდა. ამიტომ კომბინატის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადამიანთა შრომითს გამოწრთობას დადებითს მაგალითებზე, მოწინავე გამოცდილების მასობრივად დანერგვას, კომბინატში ტრადიციად გადაიქცა წარმოების საუკეთესო მუშაკთა შრომის მეთოდების შესწავლა და მოწინავეთა მიღწევების პოპულარიზაცია.

ადამიანთა შრომითს აღზრდაში დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობას, თვალსაჩინოებას და მისი შედეგების შეფარდებითობას. თვითეულ საამქროში, უბანზე, ბრიგადაში, ცვლაში სისტემატურად აჯამებენ სოციშეჯიბრების შედეგებს, ამასთან ითვალისწინებენ არა მარტო ცვლის დავალებას, არამედ ყველა ძირითად მაჩვენებელს.

დეტალურად ერკვევიან რა კომბინატს, თვითეული უბნის ყოველდღიური შრომის შედეგებში, ამით დირექციას და პარტორგანიზაციას შესაძლებლობა ეძლევათ გავლენა იქონიონ წარმოების მიმდინარეობაზე და იხელმძღვანელონ წინ.

კომუნისტებმა კრებისაგან მოითხოვეს პასუხი გაეცა მთელ რიგ გადაუჭრელ და მოუწესრიგებელ საკითხებზეც. ახალგაზრდა მქსოველი ვ. ცერცვაძე აღელვებით ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მენარეთეები ხშირად უშვებენ დაბალი ხარისხის ნართს, რაც ზრდის ძაფის წყვეტის შემთხვევებსა და ნარჩენებს. მანვე აღნიშნა, რომ ათ თვეში ნართის ულენლობის გამო დაზგების მოცდენამ 2,46 პროცენტი შეადგინა. მთავარი ინჟინრის მოადგილემ ა. ნასიძემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ხშირია დაბალი ხარისხის ნახევარფაბრიკატებისა და ახეთივე პროდუქციის გამოშვების ფაქტები, ადგილი აქვს უნაყოფო ხარჯებს, ზეგებმოთს მოცდენებს.

ტექნიკური პროგრესი ცენტრალური საკითხია. ამატომაც ბუნებრივია, რომ მომხსენებელი და კამათის მონაწილე კომუნისტები საკმაოდ ვრცლად შეეხენ ტექნიკური პროგრესის საკითხებს. აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში აქ დამონტაჟდა ორი ახალი საჩეჩი აპარატი, საკუთარი ძალებით აიგო და ამუშავდა მატყლის კარბონიზაციის უწყვეტი ნაკადი, პირველად ამიერკავკასიაში წარმატებით დამონტაჟდა და ათვისებულ იქნა მაღალნაყოფიერი უხმაურო 20 ახალი საქსოვი დაზგა. მაგრამ კრებაზე არც ის დაუშალავთ, რომ კომბინატის მთელ რიგ უბნებზე ჯერ კიდევ ბევრია ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი დაზგები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე დიდი მსჯელობა გაიმართა წარმოების მართვის ახალ სისტემაზე გადასვლის შესახებ. როგორც კომბინატის დირექტორმა მ. გაბუნაშვილმა, მთავარი ენერგეტიკოსის გაწყოფილების პარტბიუროს მდივანმა ე. ისკანდეროვმა და სხვებმა აღნიშნეს, ამ ძირეული გარდაქმნისათვის მოსამზადებელი სამუშაოები ჯერ კიდევ გასული წლის მეორე კვარტალიდან დაიწყო. ამ მხრივ პირველი ნაბიჯს წარმოადგენდა მომმზადებელთან პირდაპირი კავშირის დამყარება. საჭირო იყო ქსოვილების ასორტიმენტის გადახალისება, ხარისხის მკვეთრი ზრდა, არსებული ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება. ამ მიმართულებით კომბინატში ბევრი რამ გაკეთდა. საეჭსლოატაციოდ გადაეცა წყლის დამარბილებელი სადგური, შემოღებულ იქნა ლენტის ორჯერადი ვარცხნა, გაუმჯობესდა ბოჭკოს და ხამი ქსოვილის ღებვის ტექნოლოგია, ამუშავდა ხამი ქსოვილის დამუშავების აგრეგატი, დაინერგა ძირითადი პროფესიების შრომის ანაზღაურების მეთოდი ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით და ბევრი სხვა. განსაკუთრებული მუშაობა იქნა გაწეული ქსოვილების განახლებისა და სტრუქტურის შეცვლის საქმეში. ამის შედეგად შარშან 1963 წელთან შედარებით 58,3 პროცენტით განახლდა ასორტიმენტი. ამასთან მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიო სტანდარტის დონისა და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების ხვედრითი წილი.

როგორც საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც აღინიშნა, კომბინატის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია თავიანთ უპირველეს მოვალეობად თვლიან იზრუნონ მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებზე. კომბინატის რეკბადელურმა მუშაობამ კეთილნაყოფიერი გავლენა იქონია მუშათა სახანაო და საყოფაცხოვრებო პირობებზე, მაგრამ როგორც საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ჯორბენაძემ, მაუდის ნართის საწარმოს პარტბიუროს მდივანმა ვ. ლომბაშვილმა და სხვებმა აღნიშნეს, ამ მხრივ ყველაფერი მაინც რიგზე არ არის. ჭიანურდება კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნებს ვერ უპასუხებს სასადილოს, კულტ-საგანმანათლებლო და სამავშვო დაწესებულებათა მუშაობა.

გამომყვანი საწარმოს მშრალი საამქროს უფროსის შ. ბოხონელიძის აზრით, ბევრი კომუნისტი ჯერ კიდევ სათანადო გავლენას ვერ ახდენს თავის წრეში, გვერდით მომუშავე ამხანაგებზე. — მაშრას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, — ამბობს იგი, — რომ ჩვენს რიგებში ჯერ კიდევ გვხვდება წვრილმანი ქურდობის ცდები. კომუნისტ ბრიგადირ ბ. ს-ძეს წაუსწრეს უმსგავსო საქციელზე. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ სამ წელიწადში ჩვენთან 5,5 პროცენტით შემცირდა წუნი, კომბინატში საგრძნობლად არიან გულგრილად მომუშავენი და წუნისმკეთებლები. ეს იწვევს ქსოვილების ხელმეორედ გადამუშავებას და აძვირებს გამოშვებულ პროდუქციას. განსაკუთრებით საგანგაშოა წელს არტ. № 45664-ს მდგომარეობა, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს.

კომბინატის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლ. ჭოლოკავამ ილაპარაკა ახალგაზრდობის შრომასა და სწავლაზე. მან აღნიშნა, რომ კომბინატის უფროსი და საშუალო თაობების მაგალითებზე იზრდება 800-ზე მეტი კომკავშირელი. საუკეთესო პროდუქციას უშვებენ მოწინავე კომკავშირელები დ. კაპანაძე, კ. ბერიაშვილი, ვ. მაღლაკელიძე, ბ. ფოცხვერაშვილი და სხვები. ერთი წლის მანძილზე 35 კომკავშირელს მიეცა რეკომენდაციები პარტიის რიგებში შესასვლელად. კარგი საწარმოო მაჩვენებლებისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის 12 კომკავშირელი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სატასტო სიგელით, ხოლო 55 კომკავშირელი — სატასტო ხაგელითა და საჩუქრებით. ახალგაზრდები ჩაებნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამბანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ კომბინატის კომუნისტთა ყურადღება გაამახვილა პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების ამოცანებზე. შეეხო ავრეთვე ხალხთა მეგობრობის განმტკიცების, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების და სწვა გადაუდებელ საკითხებს.

საანგარიშო-საარჩევნო კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ო. ი. ლოლაშვილი.

საანგარიშო-საარჩევნო კრებამ მიიღო დადგენილება, აირჩია პარტკომის და ადმინისტრაციის სამეურნეო საქმიანობასადმი პარტიული კონტროლის კომისიების ახალი შემადგენლობანი, პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულ იქნა **გ. კოპლატაძე.**

გ. ზუკაკიშვილი.

ნ. გ. იგნატოვის დაკრძალვაზე

მოსკოვი, 16 ნოემბერი, (საკდესი). დღეს დაკრძალეს თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ გრიგოლის-ძე იგნატოვი.

დღის ორი საათია. წითელ მოედანზე მწყობრად გარინდულან ჯარის ქვეგანაყოფები. მოედანზე არიან დედაქალაქის რაიონების მშრომელთა დელეგაციები. ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე, რომლის წინ დადგმულია urნა განსვენებულის ნეშტით, ადიან ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. პელშე, მ. ა. სუსლოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. ანდროპოვი, ი. ვ. კაპიტონოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები კ. ე. ვოროშილოვი და ა. ი. მიკოიანი, ნ. გ. იგნატოვის დაკრძალვის მომწყობი მთავრობის კომისიის წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დაკრძალვით სამგლოვიარო მიტინგი მთელი თვისი ცხოვრება და მოღვაწეობა დაკრძალვის მომწყობი მთავრობის ბა მოსახმარა კომუნისტური პარტიისა და კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ვ. კაპიტონოვმა.

[illegible] სეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ნ. პონომარიოვმა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. თ. პრომისლოვმა.

შემდეგ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები, დაკრძალვის მომწყობი კომისიის წევრები ჩამოვიდნენ მავზოლეუმის ტრიბუნიდან, მივიდნენ კვარცხლბეკთან, ასწიეს კატაფალკი urნით და კრემლის კედელთან გადაასვენეს.

urნა ნ. გ. იგნატოვის ნეშტით დადგეს ნიშში. ნიში დახურეს მარმარილოს დაფით, რომელზეც ამოკვეთილია:

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე
იგნატოვი
16 — 14
19 —— 01 — 19 —— 66
V — XI

გრიალებს საარტილერიო სალუტი, რომელიც უერთდება სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნის დიდებულ მელოდიას.

წითელ მოედანზე მწყობრად ჩაიარეს ჯარის ქვეგანაყოფებმა და უკანასკნელი — პატივი სცეს ნ. გ. იგნატოვს, რომელმაც [illegible] ბოლო ცხოვრება [illegible] ერთგულად [illegible] ხალხს.

სპეციალისტთა სრულიად საკავშირო აღრიცხვა

ოხუთმეტ ნოემბერს მთელ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა ერთდროული აღრიცხვა. ამ მუშაობას ეწევიან საწარმოთა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა, სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ორგანიზაციათა კადრების განყოფილებანი, აღრიცხვა წარმოებს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებშიც. აღრიცხავენ დიპლომიან სპეციალისტებს, რომლებმაც დაამთავრეს უნივერსიტეტები, უმაღლესი სასწავლებლები, ტექნიკუმები და სხვა უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში საკდესის კორესპონდენტს უთხრეს, რომ ერთდროული აღრიცხვა უპასუხებს დიდმნიშვნელოვან კითხვას — რა ცვლილებანი მოხდა ერთი წლის მანძილზე სპეციალისტთა უზარმაზარ არმიაში. დაახლოებითი გამოანგარიშებით მათმა რიცხვმა უკვე თორმეტ მილიონს გადააჭარბა. აღრიცხვის შედეგად ზუსტად გამოირკვევა რომელ დარგებშია ყველაზე მეტი სპეციალისტი, რა არის ახალი მათს განაწილებაში სამრეწველო საწარმოებსთან დაკავშირებით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, თუ სად მუშაობენ უნივერსიტეტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების 1966 წლის კურსდამთავრებულნი.

ერთდროული აღრიცხვის კრებსით მონაცემებს შეადგენენ სახელმწიფო სტატისტიკის საოლქო და რესპუბლიკური ორგანოები, საბოლოო შედეგებს კი მომავალი წლის დამდეგს დაამუშავებენ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მანქანა-საანგარიშო სადგურში. (საკდესის კორ.).

გუშინდელი ფოსტიდან

△ სოფელ ზარიძეებში (თიანეთის რაიონი) პურის საცხობი უვარგის ბინაში იყო მოთავსებული. იგი ვერ აკმაყოფილებდა სოფლის მშრომელთა მოთხოვნილებას. დიასახლისებს ისევ ძველებურად, პრიმიტიულ ფურნე-ფოჩნეებთან უხდებოდათ ტრანილი. ახლახან ზარიძეებში აშენდა ახალი ტიპიური ფურნე. იგი მომსახურებას გაუწევს ზარიძეებს, ტუშურებს, ჯიჯეთისა და სხვა სოფლების კოლმეურნეებს.

ვ. ქისტაური.

△ თარგოლა. სოფელ ჩხარში გაიხსნა ლიმონათის ქარხანა. იგი ყოველდღიურად 1.500 ნახევარლიტრიან უალკოჰოლო სასმელს უშვებს.

ქარხანა პროდუქციას აწვდის ძეგრის, ალისუბნის, საზანოს კვების ობიექტებს და სავაჭრო ქსელს.

გ. კაჭკავოვი.

△ ორჯონიკიძე. კარგი საჩუქარი მიიღეს ბორითელმა მშრომელებმა. აქ აშენდა ახალი კეთილმოწყობილი სასადილო. იგი უზრუნველყოფილია უახლესი მოწყობილობა - ინვენტარით და საჭირო სათადარიგოებით.

სასადილო ერთდროულად 50 ადამიანს ემსახურება.

ზ. დეკანოიძე.

△ საჩხერე. ჭიათურის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა საჩხერის კულტურის სახლის სცენაზე წარმოადგინა ვ. პატარაიას პიესა „მდინარის მოტაცება“. სპექტაკლის დამდგმელია საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. ალექსიშვილი, მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. აბჟანდაძე.

ა. კაპანაძე.

△ გარდაბანი. ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დასახლებაში აშენდა საყოფაცხოვრებო კომბინატის ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზე გიხსნა კეთილმოწყობილი საფოსტო განყოფილება.

ზ. რამიშვილი.

△ რუსთავი. ამ დღეებში მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრმა რუსთაველ მაყურებელს უჩვენა სუმბათაშვილ - იუჟინის „ღალატი“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ვ. ანჯაფარიძე, ვ. გოძიაშვილი, ტ. საყვარელიძე, თ. არჩვაძე, ა. ომიაძე და სხვა მსახიობები.

ზ. იმედაძე.

უკრაინის მწერალთა ყრილობა

კიევი, 16 ნოემბერი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უკრაინის მწერალთა მეხუთე ყრილობა. — რესპუბლიკის მწერალთა კავშირის წევრი შვიდასზე მეტი ლიტერატორი შეიკრიბა შთაგონებული ნახევარსაუკუნოვანი შრომის შედეგების შესაჯამებლად, უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის საარსებო პრობლემების განხილველად, მისი შემდგომი განვითარების გზების დასასახავად.

ყრილობა გახსნა უხუცესმა უკრაინელმა მწერალმა პავლო ტიჩინამ.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი პ. ე. შელესტი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. შჩერბიცკი და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების მწერალთა დელეგაციები.

„პ. ე. შელესტმა ლიტერატორებს სიტყვით მიმართა და წაიკითხა უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის მწერალთა მეხუთე ყრილობისადმი.

საანგარიშო მოხსენება „უკრაინული საბჭოთა ლიტერატურა დიადი 50 წლისთავის წინ“ გააკეთა უკრაინის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ოლეს გონჩარმა.

ალვანელი ვაჭკაცები

ადამიანს შრომა ამკობს

ალვანელ მეფარეს ვლადიმერ ბექურიძეს წესად აქვს: გათენდება თუ არა, ადგება, წინადღით ნამგზავრ, კრეოლინის ხსნარში ნაბანავებ ცხვარს თვალს გადაავლებს, პირს ცივი წყლით დაიბანს და შემდეგ თავისთან იხმობს ხოლმე თანამოსაქმეებს და რჩევა-დარიგებას აძლევს.

არაფერი არ ეშლება ალვანის მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის ბრიგადის სახელოვან წინამძღოლს ვლადიმერ ბექურიძეს. თვალად და ტანად წარმოსადეგ ვაჟკაცს, რომელსაც საუბრის დროს სახეზე ხშირად ფოლადის ფერი ედება, მეცხვარედ ყოფნის ორმოცდახუთიოდე წლის გამოცდილება აქვს. მანამდე ზემო და ქვემო ალვნები შეერთდებოდნენ, შეიქმნებოდა ალვანის მეცხვარეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობა, ვლადიმერი ქვემო ალვანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგე იყო. მან ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო. მებატკნე, რიგითი მწყემსი, თავნობანი, ბრიგადირი...

...ამ და ახლა, როცა ალვანელთა ფარებში მეცხვარეობის ოთხი ფერმაა შექმნილი, ვლადიმერ ბექურიძე კვლავ ბრიგადირია. მისი სამწყემსო პირველ ფერმაში შედის და სასახელო მაჩვენებლების მოპოვებაში ბიჭები ერთურთს ეჯიბრებიან.

წელს პირველი ფერმა სულ 21 ათას ცხვარ-თოხლს ითვლის. შრომისმოყვარე ბიჭებმა 11 ათასამდე ბატკანი გაზარდეს, ერთ ცხვარზე 2,7 კილოგრამის ნაცვლად 3,2 კილოგრამი მატყლი მიიღეს.

— თითქმის ყველა ბრიგადამ იმარჯვა, — ხშირად ამბობს ფერმის მმართველი პლატონ ქავთარაძე.

და აი, ნათქვამი რომ სარწმუნო გახადოს, უბის წიგნაკს იშველიებს: ავიღოთ, თუნდაც ვლადიმერ ბექურიძის ბრიგადის მაჩვენებლები: ნამატი შენარჩუნებულია 94 პროცენტით, თვითეულ ცხვარზე მიღებულია 3,6 კილოგრამი მატყლი. გეგმის ზევით ბრიგადაში დამზადებულია 150-200 კილოგრამი ყველი. მწყემსების ზაქრო ხეცაურიძის, ბასილ თორღვაიძის, მოსე ალდამიძის, ოთარ მარხვაიძისა და სხვათა საშუალო თვიური ხელფასი 130-150 მანეთს შეადგენს.

თავდადებულად შრომობენ ამავე ფერმის სხვა ბრიგადებიც. სარდიონ ნაკუდაიძის ბრიგადის მწყემსებმა წელს 800 ცხვარი დაადოლეს, ერთ ცხვარზე 3,5 კილოგრამი მატყლი მიიღეს. გეგმა კი 2,7 კილოგრამი იყო.

მოწინავეთა შორის არის ვახტანგ კრიტიულის ფერმა. სამწყემსოში სულ 21.500 ცხვარ-თოხლია. აქედან 11 ათასი ბატკანია, ერთი ცხვრის ნაპარსი საშუალოდ 2,9 კილოგრამია.

მეცხვარეობისადმი ტრფიალი ალვანელებს მამა-პაპიდან მოსდევთ. შარშან მათ მეურნეობაში თუ 78 ათასი სული ცხვარი ჰყავდათ, წელს ეს ციფრი 100 ათას გადააცილეს. გაზრდილ იქნა 41.200 ბატკანი, სახელმწიფოს 223 ტონის ნაცვლად 240 ტონამდე მატყლი და 60 ტონამდე ყველი მიჰყიდეს.

მეცხვარეობიდან წელს ფულადი შემოსავალი 200 ათას მანეთზე მეტი იქნება, — ამბობს მეურნეობის დირექტორი კონსტანტინე ჯამრულიძე. მეცხვარეობა 560 ათას მანეთს წმინდა მოგებას მოგვცემს. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეცხრე წლისთავს ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ ალვანელი მეცხვარეები. სასელმწიფოს 870 ტონამდე ცხვრის ხორცი მიჰყიდეს და მეურნეობის ყველა რგოლში ისე მოაწყეს საქმიანობა, რომ წლის ბოლოსათვის წმინდა მოგებამ 800 ათასი მანეთი შეადგინოს.

...ტახტის ბოგირთან როგორც კი ხელმარჯვნივ მოუხვევთ, ფართო სამანქანე გზა ხელისგულივით გაშლილ ალაზნის ველზე გაგიყვანთ. უკან დაგრჩებათ კავკასიონის მთებიდან მოსულეთქილი სტორის ქოთქოთი. სამაგიეროდ თქვენს ყურთასმენას დაატკბობს შაქრიანის ხიდთან შემდორებული ალაზნის ბუტბუტი და მის სანაპიროზე შემდგარი ცხვრის ტალღების გნიასი. კარგახანია, რაც ალვანელთა ფარებმა დატოვეს საზაფხულო იალაღები და გეზი შირაქის საზამორო საძოვრებისაკენ აიღეს.

ზოგიერთი ბრიგადის ფარები უკვე დაბინავდნენ ზამთრის საძოვრებზე. დაიწყო მეტად პასუხსაგები პერიოდი.

მშვიდობიანი ზამთარი, ჩვენო სახელოვანო მეცხვარეებო!

ვ. ყუნიტაშვილი.

• • •

სურათზე: ალვანელთა ფარა საზამთრო საძოვარზე.

ფოტო ავტორისა.

მექანიზაციის სიკეთე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მაისის პლენუმმა მთელი რიგი სეროიოზული ღონისძიებები დასახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

ამ პლენუმის დადგენილებით დასახულია ამოცანა, რომ უახლოეს წლებში გადიდდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება ყოველ ჰექტარზე მოსავლიანობის მატების, არსებული მიწების უკეთ გამოყენებისა და ახალი მიწების, ათვისების ხარჯზე. დიდ ფაროობებზე მოეწყობა საძოვრებისა და მდელოების ქვისაგან გასუფთავება, გაწყლიერება. ნიადაგების ნაყოფიერების გადიდების მიზნით იწარმოებს მყავე ნიადაგების გაკირიანება, ბიცობების გათაბანირიანება და სხვ.

ჩვენს რესპუბლიკაში ამ ამოცანების განხორციელების საქმეში დიდი როლი ეკისრება რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქსოფლტექნიკას“. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გასული წლის დადგენილებით „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მექანიზაციის დონის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გადიდების ღონისძიებათა შესახებ“ გამოინახა „სოფლტექნიკის“ მუშაობის ახალი ფორმები და დაისახა მნიშვნელოვანი ამოცანები რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობათა დახმარებისათვის.

ᲙᲝᲛᲙᲝᲜᲘᲡᲢᲘ

მე-2 გვერდი, ხუთშაბათი, 17 ნოემბერი, 1966 წ.

ამ დადგენილების საფუძველზე „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ გაერთიანებებთან და განყოფილებებთან იმავე წლის აპრილში შეიქმნა 28 სპეციალიზებული სატრაქტორო რაზმი. რაზმები აღჭურვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით. ხელშეკრულების საფუძველზე რაზმებს დავალებული აქვთ მომსახურება გაუწიონ სუსტ და მთიან რაიონების კოლმეურნეობებს. სპეციალიზებული რაზმებისათვის გათვალისწინებული სამუშაოების მოცულობა 152.6 ათასი ჰექტარს (რბილ ხვნაზე გადაყვანით) უდრის.

უკანასკნელი ცნობებით მიმდინარე წელს სატრაქტორო რაზმების მიერ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შესრულებული 1.374 ათასს ჰექტარზე მეტი სამუშაო. წლის ბოლომდე შესრულდება სულ ცოტა 1.600 ათასი ჰექტარი სამუშაო ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.400 ათასი ჰექტარისა.

საკმარისია აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით ხობის რაიონში ახლად ჩამოყალიბებულ საბჭოთა მეურნეობებში „კოლხეთსა“ და „განთიადში“ (დირექტორები კარტოზია და ლატარია) „სოფლტექნიკის“ **ხობის, ზუგდიდის, აბაშისა** და **თერჯოლის** განყოფილებებმა შეასრულეს 45.000 ათას ჰექტარამდე მიწის მექანიზებული სამუშაოები (რბილ ხვნაზე გადაყვანით). მათ შორის ამოძირკვა — 500 ჰექტარზე, ამოძირკვული ხეების გადატანა — 490 ჰექტარზე; პლანტაჟი შესრულდა 522 ჰექტარზე და მიწის სხვადასხვა სამუშაოები — 148.000 კუბურ მეტრზე. გასულ წელს საბჭოთა მეურნეობა „კოლხეთში“, ხოლო მიმდინარე წელს „განთიადში“ ჭაობს გამოსტაცეს და ხალხის სასახურში ჩააყენეს 1.000 ჰექტარამდე ახალი მიწა.

სარეიონალის განყოფილებაში მიმდინარე წელს შექმნილია სპეციალური სატრაქტორო ბრიგადა. ბრიგადა აღჭურვილია თანამედროვე ახალი ტექნიკით: ბულდოზერებით, ექსკავატორებით, ნიადაგის მოსამზადებლებით, მინერალური და ორგანული სასუქების გამფანტავებით, თვითსაცლელი მანქანებით და სხვა ტექნიკით. საქართველოს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის სამეცნ

საერთაშორისო ცხოვრება

საღამო

ლონდონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ საპარლამენტთაშორისო კავშირის ბრიტანეთის ჯგუფის ხელმძღვანელობამ საღამო გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის პატივსაცემად, რომელიც აქ იმყოფება. დელეგაციას მეთაურობს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. ი. ვორონოვი.

ეთიოპიის ცის ქვეშ

ადის-აბება, 16 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი მიქტორ მატვეევი გვატყობინებს: ათ დღეს იყო სტუმრად ეთიოპიაში სსრ კავშირის მწერალთა კავშირის დელეგაცია, რომელშიც შედიან საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი პოეტი ირაკლი ნონეშვილი (დელეგაციის მეთაური) და სსრ კავშირის მწერალთა კავშირის უცხოეთის კომისიის კონსულტანტი ლიტერატურათმცოდნე ვიქტორ რაზუმი. ადის-აბებაში ვიზიტის დროს საბჭოთა ლიტერატორები შეხვდნენ „მარადიული გაზაფხულის“ ქვეყნის მწერლებს, პოეტებს, დრამატურგებსა და ჟურნალისტებს, ჰკონდათ მათთან ყოფიერი დისკუსიები თანამედროვე ლიტერატურის პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ ასახავენ მწერლის ადგილი და როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სტუმრებს ინტერესი ეგონა ეთიოპიელისა და რამდენიმე შეხვედრა 14 ნოემბერს ჰაილე სელასიე I-ის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და მასწავლებლებთან. სტუმრებმა დაწვრილებით გააცნეს მათ საბჭოთა მწერლებისა და პოეტების შემოქმედება, აუხსნეს ავტორთა ნაწარმოებების თარგმნის ბედი სსრ კავშირში. ახალგაზრდობა დიდად დაინტერესა საბჭოთა კავშირის ცხოვრებამ და უკრაინელ შეკითხვა მისცა საბჭოთა ლიტერატურის წარმომადგენლებს. შეხვედრის 50-ზე მეტი მონაწილე ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდა ქართველი პოეტის გამოსვლას, ეთიოპელებმა საკუთარი ლექსები წაიკითხა.

საბჭოთა დელეგაცია ეწვია ეთიოპიის წარმომადგენლობას „ეფიოპიენ ჰერალდის“, „ადის-ზემენის“, „ვოის ოფ ეფიოპიის“, „ეფიოპის სთარის“, „ეფიოპიენ დიმენსიონს“ რედაქციებს და ესტუმრა ცნობილ ეთიოპიელ მეცნიერ ალბერტ აფეგერეს ტკბილეს, შეხვდა უნივერსიტეტის შემოქმედებითი ცენტრის ახალგაზრდა ავტორებს, ცნობილ დრამატურგებს ტესფაია გესესიეს და მენგისტუ ლემას.

დიდი წარმატებით ჩაიარა ნონეშვილისა და რაზუმოვის შეხვედრამ საბჭოთა ადამიანებსა და ეთიოპიელ — ასაბის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლებთან. აფრიკის ცის ქვეშ, ოდა რამდენადმე დაცხრა სიცხე, რუსები და ეთიოპიელები, აზერბაიჯანელები და უკრაინელები ისმენდნენ ლექსებს და აკონდნენ ლირიკულ ტრაქტატებით დაშორებული, მაგრამ ერთ-ერთ ლამაზ ადგილზე, ადის-აბებაში, ეფიოპიელ მწერალთა კავშირის დელეგაციას.

„ჯემინი-12“-მა დაამთავრა ფრენა

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის კოსმოსურმა ფრენამ „ჯემინი-12“ — ამ სერიის უკანასკნელი ხომალდი კენედის კონცხიდან გაუშვეს 11 ნოემბერს რაკეტა „ტიტან-2“-ის საშუალებით. ოთხი საათის შემდეგ ხომალდი შეუერთდა ორბიტაზე მანამდე გაფრენილ რაკეტა „ჯენსს“. 13 ნოემბერს ოლდრინი 2 საათითა და 10 წუთით გამოვიდა ხომალდის კაბინიდან. იგი კაბინასთან მიბმული იყო სპეციალური გვარლით და რამდენიმე ექსპერიმენტი გაანახორციელა იმ მიზნით, რომ გამოერკვია რამდენად შეუძლია ადამიანს უმარტივესი ფიზიკური სამუშაოს შესრულება ღია კოსმოსში, აგრეთვე ხომალდი შეუერთა რაკეტა „ჯენსს“ ოცდათი მეტრი სიგრძის გვარლით. „ჯემინი-12“-ის ეკიპაჟმა შეამოწმა კოსმოსში გრავიტაციული სტაბილიზაციის მეთოდიკა. უმჯობესი სიგრცეში გამოსვლის გარდა, კოსმონავტმა ოლდრინმა ორჯერ გამოპყო თავი და მბრები თავისი კაბინიდან, ფოტოსურათები გადაუღო დედამიწას, ვარსკვლავებს, მზის ამოსვლასა და დაბნელების ზონას სამხრეთ ამერიკის თავზე.

„ჯემინი-12“-მა ყველა დასახული დავალება როდი შეასრულა. კერძოდ, იმის გამო, რომ უწესივრობა იყო მასთან შეპირაპირებული რაკეტა „ჯენსს“ ძრავაში, ვერ შეასრულეს ის დავალება, რომ ხომალდი აეყვანათ 460 მილ სიმაღლეზე დედამიწის ზედაპირიდან. ფრენის დროს ხომალდი იყო 185 მილ სიმაღლეზე. უწესივრობა აღმოჩნდა ოთ (თექვსმეტ ძრავიდან) ძრავაში, რომლებიც განკუთვნილია ხომალდების მანევრირებისათვის, ენერგომომარაგების სისტემაში, დედამიწის მართვის კავშირის სისტემაში. მაგრამ ეს ნაკლოვანებანი ვერ ამცირებენ ფრენის საერთო წარმატებას.

„ლუნარ ორბიტერ-2“

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში გუშინ დედამიწიდან მოცემული კომანდით განმარტიელდა ამერიკის ავტომატური სადგურის „ლუნარ ორბიტერ-2“-ის ორბიტის ფრენის შეცვლა. სადგური დაიყვანეს უფრო დაბალ ორბიტაზე და ამასთან მისი ფრენის ხანგრძლივობა შეადგინეს 1.149 მილსა და 31,3 მილს. ამერიკის ზედაპირიდან. აერონავტიკისა და კოსმოსური ფრენის კვლევის ეროვნული ასოციაციის წარმომადგენელმა ჯასადენში განაცხადა, რომ სადგურ „ლუნარ ორბიტერ-ის ხელსაწყოებმა აღნიშნეს, რომ სადგურს მოხვდა მიკრომეტეორიტი, მაგრამ კოსმოსურ მიკრონაწილაკთან ამ ჯახებმა სადგური არ დაუზიანებია.

ჩინელი სპორტსმენები შეერისხულნი არიან

პეკინი, 15 ნოემბერი. (საკდესი). „კულტურული რევოლუციის“ დროს ინსტიტუტი აღმოჩნდა ჩინეთის მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც ბევრჯერ მოუპოვებია მსოფლიოს ჩემპიონის წოდება. გაზეთ „ხუნვეიბინში“, რომელსაც „წითელი დამცველები“ ბეჭდავენ, ნათქვამია, რომ ეს სპორტსმენები „ბოიკოტს უცხადებენ კულტურულ რევოლუციას“. „მაგიდის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდი, — აღნიშნავს ეს გაზეთი, — უკვე აღარ არის მაგალითის მომცემელი თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებთა ყოველდღიური შესწავლისა და ასიმილაციის საქმეში“. ერთ დროს გაზეთ „ხუნვეიბინში“ „ჩინელ ჩოგბურთელთა ნაკრებს მიღწევას მხოლოდ „მაო ძედუნის იდეებით“ ხსნიდა.

„ხუნვეიბინებმა“ ფართო კამპანია გააჩაღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის კომიტეტი, „თავმჯდომარის მოადგილის ჟენ გაოსის წინააღმდეგ, უწოდებენ მას „დამნაშავეს“, რომელიც აბრკოლებს „კულტურული რევოლუციის“ განხორციელებას. ჟენ გაო-ტანი, აცხადებენ ისინი, ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში „გაშმაგებით ილაშქრებდა მაო ძე-დუნის იდეების წინააღმდეგ“.

მკაცრად ესჯიმან თავს აგრეთვე ჩინელ სპორტსმენთა გაზეთ „ტიიუი ბაოს“. „ხუნვეიბინებმა“ გაზეთ „ტიიუი ბაოს“ ბრალად დასდეს, რომ იგი „ბოიკოტს უცხადებს და ძირს უთხრის დიად კულტურულ რევოლუციას“.

იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რომ 2 ნოემბრიდან გაზეთ „ტიიუი ბაოს“ არ იღებენ ხელისმომწერნი, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩინეთის ახალგაზრდობა, სპორტსმენები და სპორტის მოყვარულნი ველარ მიიღებენ თავიანთ სპორტულ გაზეთს. უამრავ მასალაში, რომლებსაც „ხუნვეიბინებში“ ავრცელებენ, ისინი „თავმჯდომარე მაოს დიდ გამარჯვებას“ უწოდებენ გაზეთ „ტიიუი ბაოს“ დარბევას“.

სოციალისტური ქვეყნების ინიციატივა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნიუ-იორკი, 16 ნოემბერი. (საკდესი). სოციალისტური ქვეყნების ინიციატივის ნიშნით მომდინარეობს განიარაღების პრობლემის განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXI სესიაზე პოლიტიკურ საკითხთა და უშიშროების საკითხთა კომიტეტში. გარდა რეზოლუციის პროექტისა, რომელიც 8 მეთეთხრობელმა ქვეყანამ წარადგინა და რომელიც მოუწოდებს 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტს ახალი ღონისძიებანი იხმაროს განიარაღების შესახებ შეთანხმების მისაღწევად, პოლონეთისა და უკრაინის სსრ რესპუბლიკის წარმომადგენლებმა კომიტეტს წარუდგინეს პროექტი რეზოლუციისა, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ ყველა სახელმწიფომ თავი შეიკავოს ატომურ იარაღიანი თვითმფრინავების გაგზავნისაგან ეროვნული საზღვრების ფარგლებს იქით. გარდა ამისა, დიდნაწილ ნეოლოგიანი ინიციატივით გამოვიდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა, რომელმაც შეიტანა პროექტი რეზოლუციისა, რომელიც კრძალავს ქიმიური და ბაქტეროლოგიური იარაღის გამოყენებას. შემდეგ პოლონეთმა შეიტანა წინადადება, რომ მოეწყოს ატომური იარაღის გამოყენების შედეგების შესწავლა.

ყველა ეს რეზოლუციის პროექტი გამსჭვალულია სოციალისტური ქვეყნების ზრუნვით მშვიდობის ბედისათვის, ხალხთა უშიშროების შენარჩუნებისათვის. ისინი, ბუნებრივია, გენერალური ასამბლეის პირველ კომიტეტში დაწყებული დისკუსიის ყურადღების ცენტრში დგას. ბევრი ქვეყნის დელეგატები თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავდნენ, რომ ეს საკითხები გადაუდებლად უნდა გადაიჭრას.

უკრაინის სს რესპუბლიკის დელეგატმა ს. ტ. შევჩენკომ გუშინ ღირსეული პასუხი გასცა ამერიკის წარმომადგენლის უ. ფოსტერის ცდას „პროპაგანდისტულ მანევრად“ ჩაეთვალა პოლონეთის, უკრაინისა და უნგრეთის წინადადებანი. მომავალდინებელი ატომური იარაღით აღჭურვილ ბომბდამშენთა ფრენა სხვის ტერიტორიაზე, თქვა მან, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და კაცობრიობას, დიდ შეშფოთებას იწვევს მთელი მსოფლიოს ხალხებში.

პოლონეთის, უკრაინისა და უნგრეთის წინადადებებს გუშინ მხარი დაუჭირეს აგრეთვე ბელორუსიამ და ნეპალმა. ნეპალის დელეგატმა კატრომ მოუწოდა პირველ კომიტეტს მოიწონოს ამ ქვეყნების ინიციატივა, რომლის მიზანია შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა და ხელი შეუწყოს განიარაღების პრობლემათა გადაჭრას.

პირველი კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ერთადერთი დელეგატი, რომელმაც გაბედა შეჭრა სოციალისტური ქვეყნების ინიციატივის წინააღმდეგ, იყო ინგლისის წარმომადგენელი ლორდი ჩალფონტი. ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის მსგავსად იგი შეეცადა პოლონეთის, უკრაინისა და უნგრეთის წინადადებანი ჩაეთვალა „ცივი ომის ატმოსფეროს განახლებად“.

დისკუსიის მსვლელობა პირველ კომიტეტში გვიჩვენებს, რომ სოციალისტური ქვეყნების წინადადებას მხარს უჭერს და იწონებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ბევრი ქვეყანა, რომლებსაც აწუხებთ მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების ბედი.

ჯონსონი ჰოსპიტალში მოათავსეს

ვაშინგტონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი ჰოსპიტალში მოათავსეს, რათა გამოასწოროონ შარშან ნაღვლის ბუშტის ამოკვეთის ოპერაციის შემდეგ დარჩენილი დეფექტი. მას ამოკვეთენ აგრეთვე პოლიპს ყელში. ოპერაცია გაკეთდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების ბეთესდის ჰოსპიტალში.

რასკის მტკიცება

ვაშინგტონი, 16 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა რასკმა გუშინ გაიმეორა თავისი ძველი მტკიცებანი, თითქოს შეერთებული შტატები სამხრეთ ვიეტნამის საიგონის რეჟიმს იცავდნენ „აგრესიისაგან“. გამოვიდა რა შტატების კოლეჯთა ასოციაციისა და შტატების უნივერსიტეტთა ეროვნული ასოციაციის კონფერენციაზე, მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი დაამარცხონ „აგრესია“. ამავე დროს რასკი ირწმუნებდა თავის მსმენელებს, თითქოს ამერიკის მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდეს, რათა ვიეტნამის შეიარაღებული კონფლიქტი გადაიჭრას მოლაპარაკებით მაგიდასთან.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ამბობდა აგრეთვე, რომ ვაშინგტონის მრავალი სამხედრო ვალდებულება სხვა ქვეყნების წინაშე „საერთაშორისო მშვიდობის საფუძველია“.

კოალიციური მოლაპარაკება ბონში

ბონი, 15 ნოემბერი. (საკდესი). აქ დაიწყო მოლაპარაკება ახალი კოალიციური მთავრობის შექმნის მიზნით, რომელიც ბონის პარლამენტის უმრავლესობას იყრდნობა. დღეს გაიმართა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელიც მონაწილეობდნენ კანცლერობის კანდიდატი ქრისტიანულ-დემოკრატიულ კავშირ — ქრისტიანულ-სოციალური კავშირისაგან კიზინგერი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ბრანდტი, ქრისტიანულ-სოციალური კავშირის თავმჯდომარე შტრაუსი და სხვები.

შეხვედრის შემდეგ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციის მდივანმა რასნერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის — ქრისტიანულ-სოციალური კავშირისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები განიხილავდნენ საგარეო პოლიტიკის, აგრეთვე უშიშროების პოლიტიკისა და გერმანიის პოლიტიკის საკითხებს“.

ქართველი ტურისტის მამაცობა

სამიოდე კვირის წინათ „ასახის“ ოსაკის გამოცემაში ასეთი სურათი დაიბეჭდა: ახალგაზრდა იაპონელი ქალიშვილი, რომელიც ოსაკის გარეუბანში ერთ-ერთ პატარა დუქანში გამეფდველად მუშაობს, საზეიმო დარბაზობაზე უმარავი ფოტოკორესპონდენტების თვალწინ მორცხვად გადაეხვია საბჭოთა ტურისტს, ჩვენს თანამემამულეს — ახალგაზრდა თბილისელ მშენებელ ინჟინერს ფერდინანდ ლორთქიფანიძეს.

დიახ, ქართველი ინჟინერის სიმამაცითა და კეთილშობილებით აღტაცებულია იაპონიის პრესა, მთელი საზოგადოებრიობა. იგი ხომ სიცოცხლის რისკით, თავგანწირულად გადაეშვა ზღვაში, რომ აშკრა დაღუპვისაგან ეხსნა ადამიანი!

ჩემს ადგილზე ყველა საბჭოთა ადამიანი ასე მოიქცეოდაო, — განუცხადა ფერდინანდმა პრესის წარმომადგენელს.

იაპონელი მოქალაქის გადარჩენისათვის ფ. ლორთქიფანიძეს მრავალი საჩუქარი გადასცეს და სამშობლოში დაბრუნებისას მას შორეული იაპონელი ადამიანების ათასობით და ათიათასობით მადლიერი თვალი აცილებდა.

სურათებზე: (მარცხნივ, ზემოთ) ფერდინანდ ლორთქიფანიძე; მარჯვნივ — ვერცხლის მედალი ოსაკას ციხე-სიმაგრის გამოსახულებით და ბაჯის სათი. ხოლო ოსაკას პროვინციის საპორციით სამმართველოს განაყოფილების უფროსმა ფერდინანდ ლორთქიფანიძეს გადასცა სამახსოვრო წიგნილი, რომელშიც ეწერა:

„1966 წლის 23 ოქტომბერს დაახლოებით საღამოს 1 საათსა და 10 წუთზე ერთი ქალი წინასწარ ბანაუზრახვლელად ჩაპარდა ზღვაში და იხრჩობოდა.

თქვენ, ოსაკას ნავსადგურში მდგომ გემ „ბ. ოროჯენიკიძეზე“ მყოფმა ტურისტმა, საფრთხეში ჩაიგდეთ საკუთარი სიცოცხლე, გადაეშვით ზღვაში და იხსენით იაპონელი ქალი.

ჩვენ გულწრფელად ვაქებთ თქვენს სიმამაცეს და გამოვხატავთ მადლიერებას სამახსოვრო საჩუქრებით“.

სხვათა შორის, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სასაცილო ფაქტიც მოხდა. ერთი დასავლეთევროპული გაზეთის რეპორტიორმა განაცხადა, ლერთქიფანიძე არ შეიძლება ქართველი იყოს, რადგანაც, ჯერ ერთი, ფერდინანდი ქვია, რაც ფშიდა გერმანული სახელია, და, ამას გარდა, ლორდიც ყოფილაო. მის დასარწმუნებლად საკმაო დრო დასჭირდათ საბჭოთა საელჩოს მუშაკებს.

იაპონია ვულკანების ქვეყანაა.

ერთი იაპონელი პოეტი ამბობს: „რისხვით აენთე ფუძეო“. მე მოგახსენებთ არა თოვლით დაფარულ ფუძეთაშს ვულკანზე, არამედ სოციალურ ვულკანებზე, რომლებიც მარადიული ცეცხლით სუნთქავენ და, იფიქრებთ, შეუძლიათ წყნარი ოკეანეც აადუღონ... მე ამ სოციალურ ვულკანთა ტალღები ვნახე ტოკიოსა და ხიროსიმაში....

წყნარი ოკეანე არ არის წყნარი!

იაპონიის კუნძულები ჰგვანან ოკეანეში შეცურებულ ხომალდებს, რომლებიც ახალ ნაპირს ეძებენ. ხომალდები ელოდებიან კაპიტანს, რომ მან ისინი ახალი ცხოვრების ნაპირისაკენ წაიყვანოს.

როდის გათენდება გათენების მერიდიანებზე? — კითხულობენ პროგრესული იაპონელი პოეტები.

როდის ამოვა მზე ამმავალი მზის ქვეყანაში? — იმეორებენ კითხვას ახალგაზრდები... მომავლისათვის ბრძოლა გრძელდება!

ფ. მახარაძე.

ტოკიო-თბილისი.
1966 წლის ოქტომბერი.

* * *

სურათზე: ატომური ბომბის აფეთქების მსხვერპლთა ძეგლი ხიროსიმაში.

ოთხი დღე ხიროსიმაში

ტურისტის შთაბეჭდილებანი

ხიროსიმას შესახებ დაწერილი და მოთხრობილია ბევრიც და ცოტაც. დედამიწის ხუთსავე კონტინენტზე იციან, თუ რა მოხდა იმ ავბედით 1945 წლის 6 აგვისტოს, დილის 8 საათსა და 15 წუთზე.

მაგრამ არიან ადამიანები, რომელებსაც სურთ, რომ კაცობრიობამ დაივიწყოს ის, რაც მოხდა ხიროსიმაში.

სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები თვით იაპონიაშიც არიან.

ხიროსიმაა და ნაგასაკი! ესენი ყველაზე ტრაგიკული ქალაქებია მსოფლიოში. ტრაგედიის მამის სოფოკლესა და დიდი შექსპირის ფანტაზიაც ვერ დახატავდა იმ შემაზარზენ სურათს, რომელიც საკმაოდ უნიჭო ამერიკელმა გენერლებმა მოუტანეს ამ ქალაქების მცხოვრებლებს.

ამ ორი ქალაქის სახელი ჟღერს როგორც გაფრთხილება, გუგუნებს როგორც სამრეკლო და ნაღარასავით მოგვიწოდებს:

— „ადამიანებო, იყავით ფხიზლად, არ გამეორდეს ხიროსიმა და ნაგასაკი!“.

ერთი დეტალი:

ხიროსიმაში ქვის კედელზე დარჩა ადამიანის ლანდი, ადამიანი ატომმა შთანთქა.

ატომური ომის გიჟებს უნდათ ლანდად აქციონ მსოფლიო.

ხიროსიმას ტრაგედიას სიტყვებით ვერ გადმოსცემ, საჭიროა ნახო ხიროსიმა და მისი ტრაგედია რელიკვიებში. ხიროსიმაში ყოფნისას გავიხსენეთ წარსული, დაკავშირებული ატომის ბომბთან.

1942 წლის ზაფხულში დოქტორმა ჯ. ოპენგეიმერმა ჩიკაგოს უნივერსიტეტში შეკრიბა ფიზიკოს-თეორეტიკოსთა მცირე ჯგუფი და მათ წინაშე დაასაბუთა ატომური ბომბის შექმნის შესაძლებლობა. ზამორისათვის უნივერსიტეტის სტადიონის ცარიელ ჩოგბურთის კორტებზე დიდგა „ატომური ქვაბი“, და აქ 1942 წლის 2 დეკემბერს განხორციელდა პირველი ჯაჭვური რეაქცია. მეცნიერებმა, თქვა თვალად ევროპელებმა გაანგარიეს კვლევა-ძიება. ორნახევარი წლის შემდეგ ატომის ბომბი მზად იყო.

მეცნიერები, „ატომური ენერგიის მამები“, ზრუნავდნენ იმისათვის, რომ ბომბი გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ როგორც მუქარის საშუალება სამეე უკაცრიელ კუნძულზე მისი გამოცდის შემდეგ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა, ამერიკის სამხედრო სარდლობამ სხვანაირად გადაწყვიტეს. პრეზიდენტმა სამჯერ — გადაუარა მფრინავმა ნისლის ზოლს — ხილვადობა არ ვარგოდა. შემდეგ ინფარმა და მიიღო გადაწყვეტილება— ბომბიანად ნაგასაკისაკენ გაფრენილიყო.

ხიროსიმას მოჰყვა ნაგასაკი!

ამერიკელ მფრინავს ალეოდ იზერლის დაეწყო სინდისის ქენჯნა. მფრინავი თავის თავს დამნაშავედ თვლიდა და მოითხოვდა, რომ გაესამართლებინათ. მაგრამ თან ამბობდა: „...ხელისუფლებას არ შეუძლია მცნოს დანაშავედ ისე, თუ ამავე დროს არ აღიარებს, რომ ჩემზე მეტი დამნაშავე თვითონ არის“.

ალეოდ იზერლი უგზავნიდა ფულს ხიროსიმელ ბავშვებს, ითხოვდა პატიებას. ლაბრძანა ბომბები ჩაეგდოთ იაპონიის დაუცველ ქალაქებში.

ორი ქალაქი განწირულ იქნა. არჩევანი მიანდეს 509-ე საჰაერო ჯგუფს. ნიშანში ამოღებული იყო ხიროსიმა, კოკერა ან ნაგასაკი.

ამერიკელი მფრინავი 6 აგვისტოს დილით გაგზავნეს მეტეოროლოგიური დაზვერვისათვის, როცა ხიროსიმას თავზე აღმოჩნდა, მან რადიოთი გადასცა: „ხილვადობა კარგია, დაიწყეთ!“ ერთი საათის შემდეგ მოფრინდა მეორე თვითმფრინავი, რომელსაც ჰქონდა ქალის ნაზი სახელი — „ენოლა გეი“, ხომალდის მეთაურის პოლკოვნიკ ტიბეტის დედის პატივსაცემად, და ჩააგდო ბომბი. ბომბს უწოდეს „ლიტლ-ბოი“, რაც ნიშნავს „პატარა ბიჭი“.

ეს მოხდა 6 აგვისტოს დილის 8 საათსა და 15 წუთზე.

სამი დღის შემდეგ ამერიკელი მფრინავი სუნეი გაფრინდა ქალაქ კოკურასაკენ. ქალაქი, რომელიც აღსავსეა სიცოცხლით, უნდა დაღუპულიყო. მაგრამ მსუბუქმა ღრუბლებმა, რომელიც ორებს შორის გაჩნდა, ოდნავ გააუარესა ხილვადობა. მფრინავს ნაბრძანები ჰქონდა ბომბი ჩაეგდო უცდომოდ ყველაზე დასახლებულ ადგილში. მით მას აწუხებდა მოჩვენებები. იგი მეუღლეს აღვიძებდა შემაძრწუნებელი ყვირილით: „ბავშვები! ბავშვები! ვინ იხსნის ბავშვებს, ისინი იწვიან!“. ბოლოს იგი სამუშაოდ მოათავსეს ტეხასის ერთ-ერთი პატარა ქალაქის ფსიქიატრიულ საავადყოფოში.

ამერიკელი მფრინავი, რომელმაც ტრუმენის ბრძანება შეასრულა, ხოლო შემდეგ თავისი ეს საქციელი დანაშაულად აღიარა, გიჟად გამოაცხადეს. ტრუმენი კი, რომელიც პრეზიდენტის საარძელს გამოეთხოვა, თავის სავაგრო საქმეებს დაუბრუნდა. მას თავი მოაქვს თავისი დანაშაულით: ამის გაკეთება კეთილ რომ დამეჩრდეს, ისევ გავაკეთებდიო.

ტრუმენმა კითხვაზე, ჩაიდინა თუ არა ისეთი რამ ცხოვრებაში, რასაც ნანობს, ცინიკურად უპასუხა:

— „დიახ, არის ერთი საქციელი, რასაც ვნანობ. რატომ ადრე არ დავეძორწინდი“.

ახლა ამერიკაში ტრუმენები მეტია, ვიდრე 1945 წელს. და ეს უდიდესი საფრთხეა მშვიდობისათვის.

ატომური აფეთქებით გამოწვეული უბედურება ხიროსიმაში ციფრებში ასეთია: მოკლულ იქნა 240.000 კაცი, სერიოზულად დაიჭრა 51.012, მსუბუქად — 105.543, ბედნიერება მოაკვს. იაპონელი გოგონები აკეთებდნენ და ხიროსიმელ გოგონას უგზავნიდნენ ქაღალდის ათასობით პატარა ჩიტს. თვითონ გოგონაც სხვა განწირულ ავადმყოფებთან ერთად დილიდან საღამომდე აკეთებდა მათ, იგი ერთგვარად იმედის ნაპერწკალს იძლეოდა, ემხარებოდა ტკივილებს გადატანაში.

სამწუხაროდ, სამყაროში სასწაულები არ ხდება. 1955 წლის 25 ოქტომბერს სადაკო ჩაიფერფლა. იგი მხოლოდ ორი წლისა იყო, როცა ბომბი ქალაქს დაეცა, მას თორმეტი წელი შეუსრულდა, როცა უკანასკნელად შეხედა ლაჟვარდოვან ცას. იაპონელი ბავშვების მიერ შრომით შეგროვებული თანხით გოგონას ძეგლი აუგეს.

ახლა გოგონა წერილი ბევრგან არის. იგი მშვიდობის დაცვის სიმბოლო გახდა.

მრავალტანჯული ხიროსიმა და ამერიკელთა მიერ ატომური დაბომბვის მეორე მსხვერპლი — ნაგასაკი, ისევე როგორც ხიროსიმა, ამჟამად აღდგენილია. იაპონია კუნძულების ქვეყანაა. ქარიშხალი, მიწისძვრა, გრიგალი და ტაიფუნი აქ ჩვეულებრივია. ცხადია, ამით იაპონელს ვერ გაუკვირვებ.

მაგრამ სულ სხვა ამბავია პოლიტიკური ქარიშხალი. ახლო წარსულამდე იაპონელები უმეტეს წილად განზე იდგნენ საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან. მმართველი ხროვა, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევდა ხალხის აზრსა და ინტერესებს, უკონტროლოდ განაგებდა ქვეყანას და სულ უფრო მორს მიპყავდა აგრესიის გზით.

ძლიერი კატასტროფა, რაც იაპონიამ მეორე მსოფლიო ომის შედეგად განიცადა, მისი ხალხისათვის სამწუხარო გაკვეთილი გახდა. ფართო მასები არა მარტო მილიტარიზმის წინააღმდეგ სიძულვილით აღიავსნენ, არამედ შეიგნეს ისიც, რომ აუცილებელია აქტიურად იბრძოლონ მშვიდობის, დემოკრატიისა და თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, ამერიკის სამხედრო ბაზების შექმნის წინააღმდეგ.

ეს სამხედრო ბაზები ჰგვანან ლურსმნებს, რომლებითაც დაჭედილია იაპონია სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე. მთელ რიგ ადგილებში ათეულობით კილომეტრზეა მავთულხლართი იაპონური და ინგლისური წარწერებით: „უცხო პირებისათვის გზა დაკეტილია“. მავთულხლართების მიღმა ვერცხლისფრად ბზინავს სანგართა სახურავები, ჩანს ყაზარმების დაბალი, მიწას გაკრული შენობები. ცაში კი თითქმის ყოველ წუთს იფრენიან რეაქტიული გამანადგურებლები და ბომბდამშენები.

იაპონელს უმაღლეს ღირსებად ძველი დროიდანვე მიაჩნია საკუთარი გრძნობებისა და განცდების დაფარვა. გამოუცნობ იაპონურ ღიმილზე მრავალი ტრაქტატი დაწერეს უცხოელებმა. მათში აღნიშნულია: იაპონელის ღიმილი ხშირად ნიღაბია, რომლითაც გარეშეებს შინაგან ტანჯვასა და მწუხარებას უმალავს. თავაზიან ღიმილში ხშირად იმალება მტრული განწყობილება იმათ მიმართ, ვისთანაც აუცილებლობის გამო იძულებული არიან ისაუბრონ.

ამერიკელებს იაპონიაში უღიმის ყველა, ვისაც მათთან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების გამო ურთიერთობა აქვს: კაბინეტი, მინისტრები, მომტანები სასტუმროებში, შემპატიჟებლები კაბარეების შესასვლელებთან. მაგრამ რაც შეეხება უბრალო ადამიანებს, მათი მშვიდი გარეგნობის ქვეშ ღუღს სიძულვილი დაუპატიჟებელ სტუმართა მიმართ. ეს სიძულვილი არ ქრება. აქ იმალება ახალი პოლიტიკური გრიგალის მრისხანე ძალა.

დიდი თუ პატარა ქვეყნის გასაცნობად ყოველთვის საჭიროა დრო, შეხვედრებითა და მოგზაურობებით აღსავსე. მაგრამ ჩვენ ალბათ ასე ბევრს ვერ გავიგებდით იაპონიის შესახებ, რომ არ ყოფილიყო კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საბჭოთა ტურისტებისადმი. ახლა იაპონიაში ათასობით ადამიანს ესმის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებისა და გაჭრობის გაფართოების აუცილებლობა.

იაპონელები დიდი სიამაყით ათვალიერებენ თავიანთ ქვეყანაში მოწყობილ საბჭოთა მრეწველობის მიღწევათა გამოფენას. გულთბილად აღინიშნა იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების 10 წლისთავი.

ჩვენი იქ ყოფნის დროს მეტად საინტერესო ამბავი მოხდა. ოსაკას ნავსადგურის ნაპირებზე სერიზნისას მოგვეცა მამაკაცის შეშფოთებული ყვირილი: „არიქა, უშველეთ, ქალი იხრჩობა!“. ჩვენმა თანამგზავრმა ინჟინერმა ფერდინანდ ლორთქიფანიძემ ერთი წუთითაც არ დაყოვნა და ზღვაში ჯადაეშვა. მან საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებით იხსნა იაპონელი ქალი, ბარია დიასახლისი 29 წლის იუკი ფუძიდარა.

ამან იაპონელთა დიდი კმაყოფილება გამოიწვია. ფერდინანდ ლორთქიფანიძეს სახსოვრად დადასცეს იაპონური თოჯინა, ვერცხლის მედალი ოსაკას ციხე-სიმაგრის გამოსახულებით და ბაჯის სათი. ხოლო ოსაკას პროვინციის საპორციით სამმართველოს განყოფილების უფროსმა ფერდინანდ ლორთქიფანიძეს გადასცა სამახსოვრო წიგნილი, რომელშიც ეწერა:

„1966 წლის 23 ოქტომბერს დაახლოებით საღამოს 1 საათსა და 10 წუთზე ერთი ქალი წინასწარ ბანაუზრახვლელად ჩაპარდა ზღვაში და იხრჩობოდა.

თქვენ, ოსაკას ნავსადგურში მდგომ გემ „ბ. ოროჯენიკიძეზე“ მყოფმა ტურისტმა, საფრთხეში ჩაიგდეთ საკუთარი სიცოცხლე, გადაეშვით ზღვაში და იხსენით იაპონელი ქალი.

ჩვენ გულწრფელად ვაქებთ თქვენს სიმამაცეს და გამოვხატავთ მადლიერებას სამახსოვრო საჩუქრებით“.

სხვათა შორის, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით სასაცილო ფაქტიც მოხდა. ერთი დასავლეთევროპული გაზეთის რეპორტიორმა განაცხადა, ლერთქიფანიძე არ შეიძლება ქართველი იყოს, რადგანაც, ჯერ ერთი, ფერდინანდი ქვია, რაც ფშიდა გერმანული სახელია, და, ამას გარდა, ლორდიც ყოფილაო. მის დასარწმუნებლად საკმაო დრო დასჭირდათ საბჭოთა საელჩოს მუშაკებს.

ია

• 17 ნოემბერი სტუდენტთა საერთაშორისო დღეა! •

სტუდენტთა საერთაშორისო დღე! — მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღინიშნება ახალგაზრდობის ეს დღესასწაული — ზოგან ბრძოლით, სხვაგან შრომით, მაგრამ სულ სხვაა ეს დღე საბჭოთა სტუდენტებისათვის, იმ ქვეყნის ახალგაზრდობისათვის, როშელიც მშვიდობის ბურჯია მთელ მსოფლიოში.

მდელვარედ, მჩქეფარედ შემოაღო კარი სტუდენტურმა ზეიმმა ჩვენს მზიურ, ორგზის ლენინის ორდენოსან რესპუბლიკაში, ჩვენს მშობლიურ საქართველოში. რესპუბლიკის თვრამეტი უმაღლესი სასწავლებლის ოთხმოც ათასამდე სტუდენტი სწავლითა და შრომით მოპოვებულ წარმატებებს უპატაკებს სამშობლოს.

ჩვენი სტუდენტები გარემოსილი არიან პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი მშობლიური ზრუნვით, მათ ზრდიან აკადემიკოსები, პროფესორები, მეცნიერების მოღვაწენი.

ჩვენი სტუდენტების პატრიოტულ სულისკვეთებას მოწმობს თუნდაც ის, რომ მარტო უნივერსიტეტიდან წელს ყამირზე მუშაობდა 270 სტუდენტი. მათ საჩუქრად წაიღეს 8.000 წიგნი, სტუდენტმა-ყამირელებმა იქ წაიკითხეს 130 ლექცია, გამართეს 80 კონცერტი.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ საქართველოს ერთ-ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებლის — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სხვადასხვა ერის წარმომადგენელ სტუდენტთა ერთ ჯგუფს, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ გადაიღო. მარცხნიდან მარჯვნივ: ა. ბადიზადე, ი. რუხაძე, ვ. ხევსურიშვილი, ა. თოდრია, ნ. გულისკერია, გ. გრიგორიანი, ს. აბამასი, გ. კანდელაკი, ნ. სულაკაძე, ე. შახნაზაროვი, ი. შაბჩუნი, ვ. კარკაჩი.

გ. ა. ცაგარელი — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სამეცნიერო - გინეკოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ლოგინობის ხანის დაავადებათა და კონსერვატიული გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელმა დოცენტმა ბორის ალექსანდრეს-ძე ცაგარელმა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„ზოგიერთი კლინიკურ-ბიოქიმიური მაჩვენებლის დინამიკა სისხლში ლოგინობის ხანის სეპტიკური ენდომეტრიტების და ღრმა ვენების თრომბოფლებიტების დროს“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დამტკიცა გ. ა. ცაგარელისათვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ედერის და ცეკვავს დაგმოეა

• ჩვენი სტუმრებიის სალოვნება •

თბილისის თეატრალური საზოგადოება საინტერესო სანახაობის მოწმე გახდა. მუსიკალური კომედიის თეატრის შენობაში მაყურებლთა წინაშე წარსდგა **დაგომეის ეროვნული ბალეტი.** დაგომეა, რომლის წარმოგზავნილები საგასტროლოდ იმყოფებიან ჩვენთან, აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოა. მან ახლახან მოიპოვა დამოუკიდებლობა.

კოლექტივის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელია ახალგაზრდა ბალეტმეისტერი **ედუარდ გაი.** მან ქორეოგრაფიული განათლება პარიზის საბალეტო სტუდიაში მიიღო და ახლა მთელ ძალღონეს დაგომეის ეროვნული ბალეტის აღორძინებას ახმარს.

საბალეტო დასი ნიჭიერი ახალგაზრდობისაგან შედგება. ისინი სცენაზე პირდაპირ ბუნების წიაღიდან მოვიდნენ, თავიანთი თვითმყოფი ხელოვნებით. კოლექტივმა მეტად საინტერესო სანახაობა გვიჩვენა. მაყურებელთა წინაშე სრულდება ცეცხლოვანი ცეკვები, რომელთა სიუჟეტებიც აღებულია დაგომეის ხალხის თქმულებებიდან. შესანიშნავია თეატრალიზებული რელიგიური დღესასწაულები ვუდუ-ერთელა ტამტამების რიტმის თანხლებით. ერთმანეთს ენაცვლება ცეკვები და სიმღერები.

მაყურებელთა აღტაცება გამოიწვია დაგომეურმა სიმღერებმა ეროვნული საკრავების თანხლებით. ეს იყო აფრიკული ხალხური სიმღერების ნამდვილი დღესასწაული ქართულ სცენაზე. აღტაცებულ მაყურებელი დიდხანს და გულმოდგინედ უკრავდა ტამს შორეული მხრიდან ჩამოსულ სტუმრებს.

საინტერესოდ არის დადგმული ქორეოგრაფიული სურათი „ქორწილი“. მასში ასახულია ტომთა მეფეების შეღება და მზაკვრობა. „ჯადოქრების ცეკვა“ მათი ღმერთის გველ „დანის“ გარშემო მაყურებელს აოცებს შესრულების სირთულით და სილამაზით.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა ცეკვას „დაბრუნებული სიცოცხლე“. მოქმედება ხდება დიდი საკპატას ტაძრის წინაშე. საკპატა მიწის ღმერთია. იგი ხალხს კურნავს ყვავილისაგან. ღვთის მსახურები მუხლმოდრეკილნი დგანან. ყვავილით დაავადებული მსხვერპლი ქოხიდან გამორბის და კვდება. დიდებული საკპატა და მისი მსახურები მსხვერპლის გარშემო მიწაზე ხაზავენ დიდ მაგიურ ოთხკუთხედს და მიცვალებული ტაძარში შეაქვთ. შელოცვის შემდეგ წმიდანებს გამოპყავთ განწირული და ბოლოს დიდებული საკპატა მას სიცოცხლეს უბრუნებს.

წარმოდგენა ყოველგვარი თეატრალური ბუტაფორიის გამოუყენებლად მიმდინარეობს. სცენას ლერი აქსესუარები ამშვენებს. სიღრმეში აფრიკული ქოხი დგას, რომელიც ბალეტის მსახიობებს უქმნის.

დაგომეელი ცეკვაში გამოხატავს სიხარულს, სევდას, ჩრომას და სიყვარულს. სცენაზე თავბრუდამხვევი რიტმით სრულდება ყველაფერი. მოძრაობს სხეულის ნამდვილი ნატურა-ამშვენებს. სიღრმეში დგას, რომელიც ბალეტის მსახიობებს ორიგინალურ ფონს უქმნის.

სურათებზე: ზემოთ — მომღერლები ახრულებენ ხალხურ სიმღერებს; ქვემოთ — გამოდის დაგომეის მოცეკვავეთა ერთი ჯგუფი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ფლორენციის ტრაგედია

„პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტის რეპორტაჟი

თბილი ტალახი, ნავთობი, მაზუთი, ცხოველთა გახრწნილი ლეშები, კარბოლის მეყავა სუნის ისეთ გამას ქმნიან, რომ ადამიანს სული ეხუთება. ფრთხილად ამომაქვს ცალი ფეხი, რომელზეც მუხლამდე რეზინის ჩექმა მაცვია, შემდეგ მეორე, ვეძებ დასაყრდენს, ვცდილობ ფეხი არ დამისხლტეს. ნელა, — ღმერთმა ნუ ქნას ფეხი დაგიცურდეს, — ვცდილობთ გადაკვეთოთ. მოეფანი სანტა-კროჩეს ბაზილიკის ახლოს. სანიღვაგე ხალათიანი, მხარზე ავტომატგადაკიდებული ჯარისკაცი აწესრიგებს მოძრაობას ქუჩაში. პოლიციელები ერთი წამით ათავისუფლებენ გასასვლელს მავთულხლართის ღობეში, რომ ადამიანები გაატარონ. გზაჯვარედინზე ყვითელი სკრეპერები და სატვირთო ავტომობილები მუშაობენ. კაბინებზე დაწებებული აქვთ წარწერა: „ბოლონიის მუნიციპალიტეტი“. იმ ქალაქებმა, სადაც ხელისუფლების სათავეში მემარცხენე ძალები დგანან, პირველებმა გაუგზავნეს დახმარება ფლორენციას.

ჯერ კიდევ ათი დღის წინ ტოსკანის დედაქალაქი ამ ქვეყნის ერთი ყველაზე მშვენიერი ქალაქი იყო. 250 მილიონმა კუბურმა მეტრმა წყალმა, რაც მდინარე არნომ ბის ქუჩებსა და მოედნებს დაატეხა, ისინი სულ რაღაც 15 წუთში დაურსულებელ ჭაობად გადაქცია, გამოშიგნა დუქნები, მაღაზიები, ბარები, მოსპო თითქმის ათასი სახლი, სახელოსნოები, ფაბრიკები, მშენებლობანი, ქარხნები.

— 15 წუთი, სულ 15 წუთი, — იმეორებს ძველ საბანში გახვეული გაოგნებული დედაბერი. იგი დგას მაზუთით გაშავებული ჯურღმულის ახლოს, რომელიც ჯერ კიდევ 4 ნოემბერს ქალთა ტრიბოტაჟის დუქანი იყო. ქალები ფრთხილად ხდიან თავს კოლოფებს, ცდილობენ გარეცხონ ნიელონისა და აბრეშუმის თხელი ქსოვილები. ორი ბიჭი ძმიმე საფხეკებით წმენდს ტროტუარს. რამდენიმე მოძრაობას გააკეთებენ — ერთი წუთით შეისვენებენ. უჭირთ შუშაობა მათ, ამ პატარებს, რომლებმაც ეს-ესაა დაიწყეს სკოლაში სიარული. ახლა ისინი მოზრდილებივით მუშაობენ: სწავლა მხოლოდ ოცი დღის შემდეგ თუ განახლდება. ყავას ვსვამთ სანთლების შუქზე. ელექტროენერგიას ჯერ კიდევ არ იძლევიან. მოედანზე მდებარე ცნობილ კაფეში, სადაც წინათ საღამოობით მუსიკა უკრავდა და ერთობოდნენ მორთულ-მოკაზმული ტურისტები, გარდა ლითონის დაზგისა და ყავის სახარშავისა, არაფერი დარჩენილა.

დახურულ ბაზრათან; იქ, სადაც ღამემდე ხმაურობდა ხალხი, რომელიც მოდიოდა სუვენირების საყიდლად, — სასოწარკვეთილება და ნგრევაა. ურიკაზე გროვებად ყრია წყლიდან ამოღებული ქალის ჩალის ქუდები. „იყიდეთ! დაგვეხმარეთ!“ — ლურჯი ასოები ირიბად გაწოლილა ურიკაზე მიკრულ მუყაოს ნაჭერზე. პონტე ვეკიოზე, ძველ ხიდზე ტალახს ქექავს ათობით ადამიანი. ეს ადგილი განთქმული იყო თავისი საიუველირო დუქნებით — ბევრი მათგანი სამას-ოთხასი წლისაა. იუველირები თითებით სრესენ მყრალ სითხეს, ეძებენ იმას, რაც წყალს გადაურჩა.

— პოულობთ რამეს? — ვეკითხები.

— იმის ხუთიოდე პროცენტს, რაც გვქონდა, — მიპასუხებს გამხდარი ბიჭი, რომელსაც უძილობისაგან თვალები დასწითლებია.

სან-იაკოპოს ქუჩა. ოდესღაც აქ გაჩერებულა რუსი მწერალი დოსტოევსკი. სახლი, სადაც ცხოვრობდა, ძალიან დაზიანებულა. მხოლოდ კედელზე დარჩენილა მემორიალური დაფა. გარშემო კი მუხლამდე ტალახია, ნანგრევები, დამტვრეულ-დაჭყლეტილი ავტომობილები, დაბერეული სახელოსნოები. წყლით სავსე სარდაფები და უს ხულის შემხუთავი, გამაბრუებელი სუნი, რომელიც ყველგან თან დაგყვება. მას ვერსად ვერ გადაურჩები. საბითუმო ბაზრის ახლოს არმიის ნაწილის ჯარისკაცები აირწინაღებით მუშაობენ.

მზეზე შრება ანტიკვარული მაღაზიის ავეჯი. ფიცრებზე დაწყობილია ქალის ჩანთები, რომლებიც წყალდიდობას გადარჩენია. ავტოციისტერნასთან გრძელი რიგია. ფლორენციელები მოთმინებით, საათობით ელიან სასმელ წყალს. იგი შორიდან მოაქვთ სამხედრო ავტომობილებს. ქალაქის წყალსადენი თითქმის არ მუშაობს. „აიღეთო მთელი წყალი!“ —მოუწოდებენ ქუჩაში გაჩერული პლაკატები. სანიტარულ ცენტრში, რომელიც მონასტერში გადაუტანიათ, წარმოებს ფაქიანია მუცლის ტიფის წინააღმდეგ. უპირატესობა ბავშვებს ეძლევათ.

სინორიის მოედანზე — ფლორენციის ცენტრალურ მოედანზე — ოციოდე მტრედია. დანარჩენები დაღუპულან. მუნიციპალიტეტის ჭიშკართან რიგი დგას. „ალიუვიონატები“ — ისინი, ვინც წყალდიდობით დაზარალდა, — დახმარებას ელიან: ზოგი ფამალს, ზოგი პურს, ზოგი კი თუნდაც რაიმე თავშესაფარს.

ვდგამთ ორ ნაბიჯს უფიცის მუზეუმისაკენ. აქ ეროვნული ბიბლიოთეკიდან გამოტანილი წიგნების დაუსრულებელი პირამიდებია. ისინი დაყრილია ბრეზენტის საფენებზე პორტიკებში. გადავშალე ერთი მათგანი: ქალაქის 1845 წლას არქივი. აი კიდევ ერთი წიგნი, რომელსაც ხბოს ტყავის ყდა აქვს: ფურცლები ისე შეწებებულა, რომ საეჭვოა ისინი თვით სპეციალისტებმა გაშალონ.

— ეს XII საუკუნის კოდექსია, — ამბობს ჭუჭყიან სპეცხალათიანი ჭაბუკი, ფლორენციელთა დასახმარებლად არეცოდან ამხანაგებთან ერთად ჩამოსული სტუდენტი. — როგორ იქნება ბიბლიოთეკის საქმე, წარმოდგენა არა მაქვს. უკვე მესამე დღეა ვმუშაობთ არქივიდან სარდაფებისა და საწყობების განტვირთვაზე, და ბოლო არ უჩანს. ერთი წიგნის აღდგენას ერთი თვე მაინც სჭირდება, თუ მეტი არა. ასეთ მდგომარეობაშია 200 ათასი ტომი. თუ არ დაგვეხმარნენ, შეიძლება ყველაფერი დაიღუპოს.

იქვე ახლოს წარმოებს დაკარგული სურათების აღრიცხვა. ფლორენცია ქალაქი-მუზეუმია. წყალდიდობამ ამ მუზეუმს აურაცხელი ზიანი მიაყენა. ერონალისტებს გვითხრეს, რომ, უკანასკნელი ანგარიშით, წყალმა 1.200-მდე სურათი დაუზიანა. მათი ნაწილი აღდგენა შეიძლება. მაგრამ დაახლოებით ასი ნამუშევრის რესტავრაცია არ შეიძლიათ თუნდაც ყველაზე გამოცდილ ოსტატებს. და მათ შორის არის მხატვარ ჩიმაბუეს ფასდაუდებელი ჯვარიმა, რომელიც ექვსი მეტრი სიმაღლის წყლის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც ქალაქის ცენტრალური ტაძარი დაფარა.

— რამდენიმე წელიწადი დასჭირდება იმას, რომ ტაძარი, მუზეუმები, ხიდები შედარებითს წესრიგში იქნას მოყვანილი. ბიბლიოთეკის გაღებას ალბათ სამი-ოთხი წლის შემდეგ თუ შეძლებთ, — ამბობენ სპეციალისტები.

ძალიან დაზიანდნენ ხელოვნების ნაწარმოებნი. მაგრამ უფრო დიდი ზარალი მოუვიდა ადამიანებს. გაჩანაგებულნი, უმუშევარნი, ახინი მომავლის ბუნდოვანი პერსპექტივის წინაშე დგანან.

კლუბი „ჟე ნუოვე“, სადაც ამ ცოტა ხნის წინათ სკკპ დელეგაცია ფლორენციელ კომუნისტებს შეხვდა, წყლით არის დაფარული, რიფრედის კორიდორებში დადგმულია საწოლები უსახლკაროთათვის. მეზობელ ოთახებში სახელდახელო თათბირები იმართება. ხუთწუთიანი დისკუსია, და მუშა-კომუნისტთა ჯგუფები მიდიან იქ, სადაც განსაკუთრებით საჭიროა მათი დახმარება. ყავახანაში გაკეთებული პარიზელი ამხანაგები. ისინი აქ ჩამოსულან ერთი დღის წინათ და ახლა ეძიებენ სატვირთო ავტომობილებს, რომლებსაც საფრანგეთიდან მოაქვთ საბნები, ტანსაცმელი, წამლები, კვების პროდუქტები, რაც ფრანგ კომუნისტებს ფლორენციელებისათვის გამოუგზავნიათ.

— დიდი პროლეტარული სოლიდარობის ძალა, — ამბობს ფედერაციის ხელმძღვანელი კომიტეტის წევრი სგერი. — დახმარება ყოველი მხრიდან მოგვდის. ჩვენს კოოპერატივებს კოლოსალური ზარალი მოუვიდათ. დაზარალებულია 60 სახალხო სახლი — კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრები. ბოუულ ათასობით ადამიანმა პირდაპირ ყველაფერი დაკარგა. ვინ დაეხმარება მათ, — თუ არა კლასობრივი ძმები, თუ არა ისეთივენი, როგორიც ისინი არიან, — მშრომელები!

ფლორენციაში ჩვენ ვნახეთ მწუხარება და ტრაგედია, მაგრამ არ გვინახავს სასოწარკვეთილება და პანიკა, ქალაქი მუშაობს. მან ისწავლა ნამდვილი მეგობრების გამოცნობა. მას ესმის, რომ ერთად, მხარდამხარ უნდა მოქმედებდნენ კომუნისტები და კათოლიკეები, სოციალისტები და უპარტიოები. ფლორენციის გარეუბან ლასტრა-ა-სინიას მუნიციპალურ საბჭოში, რომელსაც კომუნისტები ხელმძღვანელობენ, შევიდნენ ქრისტიან დემოკრატთა და ახალი ბიერთიანებული სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები. ფლორენციის მერის მოადგილე გულთბილად გადაეხვია ამს. ლონგოს, რომელიც იტალიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის სათაგეში ჩამოვიდა ტოსკანის დედაქალაქში...

1944 წელს ჰიტლერელებმა უკანდახევისას ააფეთქეს არნოზე გადებული ხიდები. ისინი ხალხის შრომით იქნა აღდგენილი. ახლა ქალაქს დიდი უბედურება მოუტანა მდინარემ. მაგრამ ფლორენციას სწამს, რომ იგი ნანგრევებიდან აღდგება. მისი მცხოვრებლების მეცადინეობითა და მთელი იტალიელი ხალხის მხარდაჭერით.

ვ. ერმაკოვი,

ა. ფლორენცია, ნოემბერი.

„პრავდა“, 15/XI.

• • •

სურათზე: ფლორენციის ქუჩებში წყალდიდობის დროს.

ფოტო გაზეთ „უნიტადან“.

დაჩქარება იტალიის ქალაქ სიენის მოსახლეობას

იმასთან დაკავშირებით, რომ იტალიის ტოსკანის ოლქის, მისი დედაქალაქის ფლორენციისა და პროვინციული ადმინისტრაციული ცენტრის ქალაქ სიენის მოსახლეობა დაზარალდა ძლიერი წყალდიდობის გამო, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა ქალაქ სიენის მოსახლეობის დახმარების ფონდში გადარიცხა 15 ათასი მანეთი. (საქდესი).

ბ. ბ. ბ. ... ...

ამ დღეებში ყაზბეგის რაიონის სოფელ კობში გაიხსნა დიდი სამამულო ომის მონაწილის, მამაცი მფრინავის საბჭოთა კავშირის გმირის სერგო კონსტანტინეს-ძე კობლოვის უკვდავების ძეგლი.

ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ მიტინგზე მოვიდნენ გმირის ნათესავები, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სტუმრები ჩრდილოეთ ოსეთის ასს რესპუბლიკიდან, კობისა და ახლომახლო სოფლების მრავალი მშრომელი.

მიტინგი გახსნა ყაზბეგის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ კ. გელაძემ, რომელმაც დამსწრეთ მოუთხრო კობელი ვაჟკაცის ს. კობლოვის საგმირო საქმეებზე. სიტყვებით გამოვიდნენ კობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბ. ბატაევი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მ. ცაგარაევი, მწერლები თ. უატიევი და ს. მარზაევი, რაიონის პროკურორი ვ. შადური.

გ. ხეთაგური.

ორდენები 22 წლის შემდეგ

ილია სტეფანეს-ძე ზაიჩენკოს თითქმის ყველა იცნობს რუსთაველში. ის რუს, უკრაინელ და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებთან ერთად ერთ-ერთი პირველი მოვიდა რუსთაველში და დღემდე ენერგიულად შრომობს მეტალურგიულ ქარხანაში.

ამ დღეებში ი. ზაიჩენკოს ოჯახში დიდი ზეიმი იყო. მეგობრები ყოფილ ჯარისკაცს ულოცავდნენ 22 წლის შემდეგ დიდების ორი ორდენის მიღებას.

...1944 წლის სექტემბერში 59-ე გვარდიის სატანკო ბრიგადას, რომელშიც ი. ზაიჩენკო რიგით ჯარისკაცად ითვლებოდა, ულმობელი ბრძოლა მოუხდა გერმანელ ფაშისტებთან. სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში დაიღუპა ბრიგადის თითქმის ყველა ჯარისკაცი. დღეპულთა სიაში აღმოჩნდა ი. ზაიჩენკოც.

მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით ბრძოლის ყველა მონაწილე დაჯილდოებულ იქნა დიდების ორდენებით. ომის დამთავრებიდან 22 წლის თავზე ცნობილი გახდა, რომ ი. ზაიჩენკო სასწაულებრივად გადაარჩინეს ჰოსპიტალში საბჭოთა ექიმებმა. ახლა, როცა ერთხელ კიდევ შემოწმდა ომში დაღუპულთა ვინაობა, 59-ე გვარდიული სატანკო ბრიგადის ჯარისკაცი ი. ზაიჩენკო რუსთაველში აღმოაჩინეს და საზეიმო ვითარებაში გადასცეს დიდების ორი ორდენი.

გუშინ საქართველოს უმეტეს რაიონებში აღნიშნული იყო წვიმა, მაქსიმალური ტემპერატურა იყო სოხუმში — 21, ბათუმში — 20, გაგრაში — 18, თბილისში — 14, ბორჯომში — 13, ბაკურიანში — 10 გრადუსი.

აპირილი

დღეს დასავლეთ საქართველოს სანაპიროს და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში მოსალოდნელია წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ბარში — 15-20 გრადუსი, მთაში — 11-16, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — 14-19, მთაში — 10-15 გრადუსი.

თბილისში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმნიშვნელო წვიმა, სუსტი ქარი. ტემპერატურა — 16-18 გრადუსი.

ბიჭი და ჩიტი

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის ქუჩებში და სოფლებში ხშირად შეხვდებით საქართველოს ტელევიზიის მუშაკებს. ისინი იღებენ მოკლემეტრაჟიან სატელევიზიო ფილმს „ბიჭი და ჩიტი“, რომელიც იქმნება მწერალ გ. სანადირაძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. ფილმის რეჟისორია კ. სურმავა, ფილმში მონაწილეობენ საქართველოს სახალხო არტისტები ბ. ზაქარიაძე და გ. გეგეჭკორი, რეპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. სულ-ქველიძე და სხვები. ბიჭის როლს ასრულებს თბილისის 35-ე სამეალო სკოლის მოსწავლე გ. კიტია.

ლიდერმა

პოზიციები განიმტკიცა

ჰავანა, 16 ნოემბერი. (საკდესი). საბჭოთა გროსმეისტერები კვლავ წარმატებით გამოდიან ხაჭადრაკო ოლიმპიადაში. 8:0 — ასეთი შედეგით დამთავრდა სსრ კავშირ-ნორვეგიის მატჩი. ტ. პეტროსიანმა დაამარცხა ხოენი, მ. ტალმა — კრისტიანსენი, ლ. ფტეინმა — ლიანბე. ერთი პარტია გადაადო.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბულგარეთის მატჩში მხოლოდ რ. ფიშერმა მოიგო ნ. მინეევთან. ბ. ბენკო-ბ. ტრინგოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. რ. ბირნისა და მ. ბოგოცოვის, ლ. ევანსისა და ნ. პადევსკის პარტიები დაუმთავრებელი დარჩა.

ათი ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა მთავარ ფინალში ასეთია: სსრ კავშირი — 29,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ამერიკის შეერთებული შტატები — 26,5 და ორი გადადებული პარტია.

მეთერთმეტე ტურში ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ტრადიცია აღსდგა

აზერბაიჯანის ჭადრაკის ფედერაციის ინიციატივით დღეს ბაქოში იწყება ამერკავკასიის მოჭადრაკეთა არაოფიციალური ჩემპიონატი. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. აქ კანდიდატებს საშუალება ეძლევთ ოსტატის ნორმა შეასრულონ.

ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ტურნირი პირველად როდი იმართება. ჩემპიონატს საფუძველი ჯერ კიდევ 1928 წელს ჩაეყარა. ასეთი სახის შეჯიბრება სულ ხუთჯერ მოეწყო, შემდეგ კი დავიწყებას მიეცა. და აი თითქმის 19 წლის შემდეგ აღსდგა ეს ტრადიცია.

გავიხსენოთ, ვინ იყვნენ გასულ შეხვედრებში გამარჯვებულები. 1928 წელს წარმატება ხვდათ თ. ილინ-ჟენევსკის (ლენინგრადი, კონკურსგარეშე მონაწილე) და ბაქოელ ა. მაკოგონოვს, 1931 წელს — ვ. გოგლიძეს. ორი წლის შემდეგ გამართულ ჩემპიონატში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა — ნ. სოროკინმა, ჭ. კახპარიანმა და ვ. გოგლიძემ მოიპოვეს. 1935 წელს პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს ჭ. კახპარიანმა და ა. ებრალიძემ, ხოლო 1948 წელს — ვ. მაკოგონოვმა (ბაქო).

ბაქოს ახლანდელ ტურნირში ოსტატობის კანდიდატებიდან ჩვენგან მონაწილეობას მიიღებს **გ. მაჭავარიანი.** ეს უფლება მან მოიპოვა ოსტატობის კანდიდატთა შესარჩევ ასპარეზობაში. მეორე ადგილი პერსონალურად დაეთმო ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეს თ. გიორგაძეს. ტურნირზე მიწვეული არიან მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი, ოსტატები ა. ბუსლაევი, ი. ჩიკოვანი, ა. ბოკუჩავა, თ. ლომაია.

ბაქოს ტურნირი 7 დეკემბრამდე გაგრძელდება.

... ...

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი მოკრივე ბასილეს კლეი კვლავ უძლეველია. პროფესიონალ მძიმე წონის მოკრივეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის მორიგ მატჩში მან კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად დაამარცხა თანამეტოქე ულე კლივლენდელი უილიამსი. ბრძოლა გაგრძელდა სულ 7 წუთსა და 8 წამ. ამ ხნის მანძილზე უილიამსი ოთხჯერ დეცა იატაკზე და უკვე მესამე რაუნდ(სულ გათვალისწინებულია 15 რაუნდი) მსაჯებმა ორთაბრძოლა შეწყვიტეს. ამრიგად, კლეიმ წელს მეხუთეჯერ დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ეს მისი 27-ე გამარჯვებაა.

ბრძოლა მიმდინარეობდა ტეხასის ქალაქ ჰიუსტონში. „ასტროდომის“ ბეისბოლის დარბაზში შეიკრიბა 35 ათასამდე მაყურებელი. ეს ახალი რეკორდია დახურული შენობებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. წინა რეკორდმყარად 1941 წელს, როდესაც ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ-გარდენში“ ... ხლოებით 23 ათასი კაცი შეიკრიბა, რასაც ენახათ მოკრივე ჰენრი არმსტრონგის ... მოსვლა.

„დინამოს“ სტადიონი

ა. წერეთლის პროსპ. № 2

ტელ. 5-21-62

18 ნოემბერს

ფეხბურთი

საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა.

„პროგრესული“ ბუქარესტი — „დინამო“ თბილისი.

დასაწყისი 18 საათზე.

ბილეთები აბონემენტებზე წინასწარ გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 17 ნოემბერს 12-დან 18 საათამდე. შესვენება 14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა 18 ნოემბერს 10 საათიდან.

ფასიანი აბონემენტები ძალაში არ არის.

ტელევიზია

17 ნოემბერი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ქორწინების ნებართვა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ეროდენის ეკრანი“, 18.20 — ოქტომბრელთათვის — „მზე შინა და მზე გარეთა“, 18.40 — განცხადებები, 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — გადაცემა, მიძღვნილი სტუდენტთა საერთაშორისო დღისადმი, 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — სპორტული გადაცემა „ოუბილეს მიეძღვნა“, 19.55 — კინონარკვევი, 20.15 — ლიტერატურული გადაცემა „პაბლო პიკასო“ (დაბადების 85 წლისთავი), 20.55 — დოკუმენტური ფილმი, 21.40 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.00 — ბულგარული მხატვრული ფილმი „ქორწინების ნებართვა“, 23.05 — გადაცემათა პროგრამა 18 ნოემბრისათვის, 23.10 — ეროვნულ —ნაშ სოვრემენნიკის“ ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან).

18 ნოემბერი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — პოლონური მხატვრული ფილმი „ერთი კინკლაობის ამბავი“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის „სამშობლო ჩემი...“ 18.20 — გადაცემა „წარმოების ერთი დღე“ (ქუთაისის სასუქსათო კომბინატი), 18.35 — გადაცემა „შემოდგომა ლეჩხუმში“, 19.00 — საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში „დინამო“ თბილისი — „პროგრესული“ ბუქარესტი (მეორე ტაიმი), 19.45 — კინონარკვევი, 20.0... — კონცერტი, 20.25 — სატელევიზიო სპექტაკლი „უკეთუ გაცდუნებდეს“ პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა), 21.05 — ახალი ამბები, 21.20 — პოლონური მხატვრული ფილმი „ერთი კინკლაობის ამბავი“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 22.55 — გადაცემათა პროგრამა 19 ნოემბრისათვის, 23.00 — ეთერში ახალგაზრდობა (გადმოცემა მოსკოვიდან).

ჩაბ ვიცინოთ, ჩაბ შოვისეირნოთ

კრივი

კვლავ ქასიუს კლეი...

ნიუ-იორკი, 15 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი მოკრივე ბასილეს კლეი კვლავ უძლეველია. პროფესიონალ მძიმე წონის მოკრივეთა შორის მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის მორიგ მატჩში მან კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად დაამარცხა თანამეტოქე ულე კლივლენდელი უილიამსი. ბრძოლა გაგრძელდა სულ 7 წუთსა და 8 წამ. ამ ხნის მანძილზე უილიამსი ოთხჯერ დეცა იატაკზე და უკვე მესამე რაუნდ(სულ გათვალისწინებულია 15 რაუნდი) მსაჯებმა ორთაბრძოლა შეწყვიტეს. ამრიგად, კლეიმ წელს მეხუთეჯერ დაიკავა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. ეს მისი 27-ე გამარჯვებაა.

ბრძოლა მიმდინარეობდა ტეხასის ქალაქ ჰიუსტონში. „ასტროდომის“ ბეისბოლის დარბაზში შეიკრიბა 35 ათასამდე მაყურებელი. ეს ახალი რეკორდია დახურული შენობებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში. წინა რეკორდმყარად 1941 წელს, როდესაც ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ-გარდენში“ ... ხლოებით 23 ათასი კაცი შეიკრიბა, რასაც ენახათ მოკრივე ჰენრი არმსტრონგის ... მოსვლა.

იმის გამო, რომ „კომუნისტი“ გამოვიდა ორშაბათს, მიმდინარე წლის 7 ნოემბერს, მორიგი ნომერი გამოვა 19 ნოემბერს.

რედაქტორი

დ. მჟედლიშვილი

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, ხოფლის მეურნე